# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 25 სექტემბერი 2007 №221 (3144)

ფასი 50 თეთრი



**იწყება!**

საქართველოს 14 ახალი სტადიონი ექნება 2



**ამ გუნდით ეს შეუძლებელია!**

ფარდოსანიძემ დილა დატოვა 2



**ძალიან, ძალიან უკმაყოფილო**

17 და 19-წლამდელთა ნაკრებებმა უიმედოდ წააგეს 5

# სად იმალება სიმართლე?



## დინამომ რასიზმი ახსენა

დღეს პროფლიგა ზუგდიდურ ინციდენტს განიხილავს და განაჩენს იტყვის

UEFA AGAINST RACISM

## რა მოხდა ოლიმპის გასახდელში?



# ოცნების მატჩის წინაისტორია



AFP

ეს ჩვენი ოცნების მატჩია, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ილია ზედგინიძის, პალიკო ჯიმშელაძის და, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის ხათრით უნდა მოვიგოთ. ჩვენ მზად ვართ, მსოფლიოს თასებზე პირველი და ისტორიული გამარჯვება მოვიპოვოთ — ეს სიტყვები საქართველოს ნაკრების აწ უკვე კაპიტანმა ირაკლი აბუსერიძემ გვითხრა გუშინ, საფრანგეთში რომ შევეხმიანეთ...

29 წლის ირაკლი აბუსერიძე ხვალ ნამიბიასთან მატჩში მესამედ უკაპიტნებს „ლელოებს". გეცოდინებათ, ჩვენების სტაჟიანი კაპიტანი ილია ზედგინიძე ირლანდიასთან მატჩისას დაშავდა და, მსოფლიოს თასის შემდეგ ისედაც რომ აპირებდა რაგბიდან წასვლას, ამან გადაწყვეტილება დააჩქარებინა.

ირაკლი აბუსერიძის კაპიტნობა გუშინ საღამოს გადაწყდა, როდესაც „ლელოების" მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა სანამიბიო 22-კაცა შემადგენლობა დაასახელა.

შემადგენლობა დაასახელა ნამიბიის მწვრთნელმა ჰაკის ჰუსელმანმაც.

# იწყება!
## საქართველოს 14 ახალი სტადიონი ექნება

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა საქართველოს სპორტისა და კულტურის მინისტრ გიორგი გაბაშვილს შეხვდა. შეხვედრის მიზანი სახელმწიფოსგან ფეხბურთის განვითარებისთვის მხარდაჭერაზე მოლაპარაკება იყო. კერძოდ, გეგმაშია უახლოეს ხანში სტადიონების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. ცხადია, ფეხბურთის ფედერაცია საკუთარი სახსრებით მათ შეკეთება-შელამაზებას ვერ შეძლებს, თუმც ისეთი პარტნიორის დახმარების შემდეგ, როგორიც სახელმწიფოა, არ უნდა გაუჭირდეს. გაბაშვილთან შეხვედრის დეტალებზე ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას გუშინვე შევეხმიანეთ...



— როგორ ჩაიარა მინისტრთან შეხვედრამ?

— ყველაფერი დადებითად გადაწყდა. სახელმწიფო მზად არის, ფინანსურად დაგვეხმაროს ჩვენც და ქართულ რაგბისაც. აქამდე არც ერთ სპორტის სახეობას ასეთი მხარდაჭერა არ ჰქონია. ახლა კი ყველაფერი კეთდება, რათა ქართულმა ფეხბურთმა და რაგბიმ თავიანთი სიტყვა თქვან მსოფლიოში.

— კერძოდ?

— სახელმწიფოს გეგმაში აქვს ექვსი საფეხბურთო, ექვსი სარაგბო და ორი საფეხბურთო-სარაგბო მოედნის რეაბილიტაცია. 9 ოქტომბრამდე უნდა გაკეთდეს ინდივიდუალური პროექტები, შემდეგ კი შედგება მათი ხარჯთაღრიცხვა.

— კონკრეტულად როდიდან დაიწყება სტადიონების რეაბილიტაცია და როდისთვის უნდა იყოს მზად?

— პროექტების და ხარჯთაღრიცხვის შედგენის შემდეგ საჭიროა, ყველა სტადიონი კომპლექსურად შეისწავლოს. ეს პროცესი, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოდან გაზაფხულამდე გაიწელება. სადღაც თებერვლის ბოლოდან უნდა დაიწყოს სტადიონების რეაბილიტაცია და 2008-09 წლის სეზონის დაწყებამდე სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს. ესეც ოფიციალური მოთხოვნაა — ახალ სეზონს გუნდები განახლებულ სტადიონებზე უნდა შეხვდნენ.

— კონკრეტულად თუ არის ცნობილი, რომელი სტადიონები გარემონტდება?

— საფეხბურთო მოედნებს შორის რეკონსტრუქცია გაუკეთდება ფოთის, ლანჩხუთის, თელავის, ბორჯომის, ახალციხის და ბოლნისის სტადიონებს. ქუთაისში საფეხბურთო-სარაგბო მოედანი უნდა გაკეთდეს. რაც შეეხება მარტო სარაგბო მოედნებს, ჯერჯერობით არ უთქვამთ, ისევე, როგორც ერთი საფეხბურთო-სარაგბო სტადიონი. მათი საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს.

— ალბათ ასეთი დახმარება, თანაც რეგიონებში, ფეხბურთისადმი ინტერესს კიდევ უფრო გაზრდის...

— ფედერაცია და ახლა უკვე სახელმწიფოც ყველაფერს აკეთებს საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის. იმის თქმა, რომ ისეთ რეგიონებში, როგორიც ფოთი, ლანჩხუთი და ქუთაისია, ფეხბურთი მოკვდა — უხერხულია. თუ მათ ამ ჯერზე უმაღლეს ლიგაში გუნდი არ ჰყავთ, ეს ფედერაციის და სახელმწიფოს ბრალი არ არის. პირიქით, ჩვენ საქმეს ვაკეთებთ და გავაკეთებთ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ვარლამ კილასონიასა და ნოდარ აკობიას შემდეგ გორის „დილას" მთავარი მწვრთნელი მამუკა ვარდოსანიძე მესამეა, რომელმაც უმაღლესი ლიგის გუნდი დატოვა. იმ ორისგან განსხვავებით, ვარდოსანიძე გუნდიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა...

# ამ გუნდით ეს შეუძლებელია!
## ვარდოსანიძემ დილა დატოვა

— სრული სიმართლეა. მე და ჩემმა თანაშემწე ვლადიმერ ელიაურმა დღეს კლუბის ხელმძღვანელობის სახელზე გუნდიდან წამოსვლის თაობაზე განცხადება დავწერეთ — გვითხრა გუშინ ვარდოსანიძემ.

— რატომ გადაწყვიტეთ ასე?

— „დილაში" არ არის ის პირობები, რომელიც უმაღლესი ლიგის გუნდს შეეფერება. ეს პირველ რიგში ფეხბურთელებს ეხებათ. ასეთი კადრებით გუნდი სასურველ შედეგს ვერ აჩვენებს. მართალია, რამდენიმე კარგი მატჩი ჩავატარეთ, მაგრამ ბოლო ტურში „ლოკომოტივთან" თამაში აშკარად ჩავაგდეთ, რის გამოც გადავდგი კიდეც ასეთი ნაბიჯი.

— განცხადების დაწერის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობიდან ალტერნატიული წინადადება ხომ არ ყოფილა? მაგალითად, რაიმე დაპირება...

— წლეულს გორში სასიკეთო ძვრები კი შეინიშნება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დაპირებები ყოველდღე იყო, მაგრამ დრო არ ითმენს, ასეთი გუნდით მუშაობა არ შეიძლება. გადაწყვეტილება მიღებულია. ერთია, ზუგდიდის „მგლებთან" სათამაშოდ გუნდი, შესაძლოა, ჩვენ გავიყვანოთ და მერე წავიდეთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ალმასკომის ორი საკითხი: ლიცენზირება და სპონსორი

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც განსახილველად ორი საკითხი იყო გატანილი:

1. ეროვნული საკლუბო ლიცენზირების სახელმძღვანელოს ვერსია 2.1-ის დამტკიცება;

2. საქართველოს 2007-08 წლების ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის გათამაშების რეგლამენტში შესატანი დამატება.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, ალმასკომმა სფფ-ის ეროვნული საკლუბო ლიცენზირების სახელმძღვანელოს ვერსია 2.1 დაამტკიცა. სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების მენეჯერ ბაქარ ჟორდანიას დაევალა, უეფას შესაბამის ორგანოებს აცნობოს აღნიშნული სახელმძღვანელოს აკრედიტაცია-დამტკიცების პროცედურის დასრულება. მანვე 31 ოქტომბრამდე უნდა უზრუნველჰყოს ლიცენზირების სახელმძღვანელოს ვერსია 2.1-ის ყველა დაინტერესებულ პირზე გადაცემა (სფფ-ის ალმასკომის წევრები, ლიცენზირების სისტემის მონაწილეები, საფეხბურთო კლუბები).

აღნიშნულ დადგენილებაზე კონტროლი ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას დაევალა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ მედია-პარტნიორთან გაფორმებული კონტრაქტის გამო, ჩემპიონატის და თასის გათამაშების დებულებაში ცვლილებები შევიდა:

მასპინძელი კლუბი ვალდებულია, ექსკლუზიურად უზრუნველჰყოს პროფლიგის მიერ განსაზღვრული კომპანიის წარმომადგენლების სტადიონზე დაშვება და ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურით (ელექტროენერგიის მიმწოდებელი სადგურები, ფოტო, ტელე და აუდიო ჩამწერი მოწყობილობების განთავსების ადგილები) სარგებლობა, ასევე ფოტოგადაღებების, აუდიო, ტელე და რადიო ჩანაწერებისა და ტრანსლირებისთვის აუცილებელი ადგილების გამოყოფა.

ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის კლუბს იმ ფინანსური ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, რაც, შესაძლოა, მიადგეს პროფლიგას. ამასთან, მასპინძელ კლუბს ეკრძალება სხვა, მესამე პირის სტადიონზე დაშვება ფოტოგადაღებასთან, აუდიო, ტელე და რადიო ჩანაწერების და ტრანსლაციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

სტადიონებზე სარეკლამო დაფების განთავსებისას პროფლიგა და კლუბები 50/50 პროცენტული პრინციპით სარგებლობენ. პრიორიტეტი ენიჭება მხოლოდ ჩემპიონატისა და თასის გენერალურ სპონსორს. ამიტომ დებულებით, კლუბებს ეკრძალებათ ისეთი რეკლამის განთავსება, რომელიც ეწინააღმდეგება პროფლიგისა და მისი მედია-პარტნიორი კომპანიის სარეკლამო და სასპონსორო ინტერესებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კოსტავა ავსტრიაში მიჰყავთ



**თბილისის** „მერანის" მთავარი მწვრთნელი თამაზ კოსტავა ისევ თბილისის მეხუთე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია და მისი მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

კოსტავა ცუდად 3 სექტემბერს, თბილისის „დინამოსთან" მატჩის (0:3) შემდეგ გახდა.

კოსტავას ჯერ ინსულტი დაემართა შემდეგ კი მიკრო-ინფარქტი გადაიტანა.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, საბოლოოდ გადაწყდა, რომ 9 ოქტომბერს თამაზ კოსტავას ოპერაციას ავსტრიაში გაუკეთებენ.

**ნუკრი ლოლაძე**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
### პირველი ლიგა. 6 ტური

**აღმოსავლეთი**

ნ. დინ-მერანი 2 1:2 კახეთი
ვიტ ჯორჯია 2 0:0 ჩიხურა
მეშაძრე 2:0 დინამო 2
გაგრა 2:1 ოლიმპიკი
ამერი 2 1:1 ოლიმპი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:7 | 11 |
| გაგრა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:12 | 11 |
| მეშაქრე | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 10 |
| დინამო 2 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| ოლიმპიკი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 9 |
| ჩიხურა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| კახეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:10 | 8 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 6 | 1 | 4 | 1 | 4:3 | 7 |
| ოლიმპი 2 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:7 | 3 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:12 | 1 |

**დასავლეთი**

მაღაროელი 2:0 უნივერსიტეტი
მეშახტე 4:1 კოლხეთი
ფაზისი 1:2 მარტვილი
ტორპედო 4:0 სამტრედია
ხობი — ზესტაფონი 2 გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:2 | 16 |
| მეშახტე | 6 | 5 | 0 | 1 | 15:10 | 15 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| ტორპედო | 6 | 2 | 2 | 2 | 10:7 | 8 |
| ზესტაფონი 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 8 |
| უნივერსიტეტი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 |
| ფაზისი | 6 | 2 | 0 | 4 | 9:12 | 6 |
| ხობი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:10 | 6 |
| მარტვილი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:5 | 6 |
| სამტრედია | 6 | 0 | 0 | 6 | 5:18 | 0 |

### იტალია
სერია C1/B. V ტური
პერუჯა 1:1 არეცო

### ნორვეგია
ტიპელიგა. XXI ტური
ვოლერენგა 2:0 ფრედრიკსტადი

### ბელგია
იუპილერლიგა. VII ტური
სტანდარდი 2:1 ვესტერლო

### პორტუგალია
სუპერლიგა. V ტური
ბოავიშტა 0:0 აკადემიკა

### ჩეხეთი
გამბრინუსლიგა. VII ტური
სპარტა 0:1 ბოლესლავი

### ირლანდია
თასი. მეოთხედფინალი
სტ. პატრიკსი 1:2 ბოჰემიანსი

### დანია
სუპერლიგა. X ტური
ოდენსე 4:0 ვიბორგი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. VIII ტური
ლიბურნი 2:3 ნანტი

### შვედეთი
ალსვენსკა. XXII ტური
ელფსბორგი 1:2 ჰამარბი
გეფლე 2:1 მალმიო
იორებრო 4:3 ჰელსინგბორგი
აიკ 1:1 იურგორდენი

სუპერეტა. XXV ტური
ენჩიოპინგი 1:2 ატვიდაბერგი
ჰეკენი 0:1 დეგერფორსი
იოსტერსი 2:0 იონკოპინგი
სილვია 1:1 ლიუნგსკილე

### ფინეთი
ვეიკუაუსლიგა. XXI ტური
ლაჰტი 0:2 ტამპერე
ჰიკ 2:0 ინტერი
ტურკუ 5:0 ვიიკინგიტი
მიუპა 1:0 ჰონკა

### უნგრეთი
ბორსოდილიგა. IX ტური
ვაშაში 0:0 შიოფოკი



# დინამომ რასიზმი გააპროტესტა

## ზუგდიდში მომხდარს დღეს ნახავენ

**გუშინ** თბილისის „დინამომ“ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტში პროტესტი შეიტანა ზუგდიდში, „მგლებთან“ მატჩისას მომხდარი ინციდენტის გამო. თბილისელებმა წერილობით მიმართეს ასევე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსა და პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს.

„დინამო“ ზოგიერთი ზუგდიდელი ფეხბურთელის უსაქციელობას ასაჩივრებს. თბილისელებს მიაჩნიათ, რომ „მგლების“ რამდენიმე ფეხბურთელმა გაბონელ თავდამსხმელ ჟორჟ აკირემის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც სათანადო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. დინამოელები ამ მატჩისას თავად აკირემის გაძევებასაც აპროტესტებენ, გაბონელ თავდამსხმელს მასპინძელი ფეხბურთელებისთვის არანაირი ხურდა არ დაუბრუნებია, არბიტრ გიორგი ვადაჭკორიაზე კი ზეწოლა იყო და ზუგდიდელ ვლადიმერ ჯოჯუასთან ერთად აკირემისაც ამიტომ უჩვენა წითელი ბარათიო.

კონკრეტული ფაქტების გამოძიების გარდა „დინამო“ ფედერაციასა და პროფლიგას, ზოგადად, ეროვნულ ჩემპიონატში რასისტული გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებასაც სთხოვს. აკირემის მისამართით რასისტული წამოძახილები თურმე სხვა მატჩების დროსაც ყოფილა.

თბილისის „დინამო“ დღეს სადისციპლინო კომიტეტს „მგლებთან“ თამაშის ფირსაც წარუდგენს, სადაც კიდევ უფრო კარგად გამოჩნდება, რა მოხდა შაბათს ზუგდიდში.

შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედრა „დინამომ“ 2:1 მოიგო.

**კობა ინასარიძე**

# ჯოჯუამ, რასიზმი აბსურდიაო

**დინამოელები** თავისას ამბობენ და თავიანთი სიმართლის დამტკიცებას დღეს პროფლიგაში შეეცდებიან. ჩვენ კი გუშინ ზუგდიდური ინციდენტის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს, „მგლების“ ნახევარმცველ *ვლადიმერ ჯოჯუას* შევეხმიანეთ, ვინც დინამოელ ჟორჟ აკირემთან ერთად გააძევეს მოედნიდან...

— პირველად აკირემიმ მკრა ხელი და მეც ვუპასუხე. ზუგდიდელი გულშემატკივარიც ამან განარისხა, თუმცა რასისტული არც მათ და არც ფეხბურთელებს არაფერი უკადრებიათ. ეგ ყველაფერი მონაჭორია. პირიქით, „დინამოს“ მეკარე დიდიე ოვონომ კარგად რომ ითამაშა, თამაშის შემდეგ მაყურებელმა ტაშით გააცილა. ისიც შავკანიანი არ არის?! რასიზმზე ლაპარაკი საერთოდ აბსურდია! — გვითხრა გუშინ ჯოჯუამ.

**ნუკრი ლოლაძე**





# მსაჯის თვალი

„მგლები“ — „დინამოს“ მატჩისას ზუგდიდელი ვლადიმერ ჯოჯუა და „დინამოს“ გაბონელი ლეგიონერი ჟორჟ აკირემი მოედნიდან გააძევეს. როგორც „დინამო“ აცხადებს, აკირემი გაძევებას არ იმსახურებდა და მას მთელი მატჩის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებდნენ, გაძევებამდე კი ფიზიკურადაც შეეხნენ — აკირემი გაძევებას არ იმსახურებდა და მსაჯმა გიორგი ვადაჭკორიამ მისი დასჯა ზეწოლის შედეგად მოახდინაო. სიტუაციაში გასარკვევად გუშინ თავად ვადაჭკორიას დავუკავშირდით...

— „მგლები“ — „დინამოს“ მატჩისას მოედნიდან აკირემი გააძევეთ, „დინამოს“ მხარე აცხადებს, რომ ეს ზეწოლის შედეგად გადაწყვიტეთ...

— არანაირი ზეწოლა არ ყოფილა და საერთოდ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვიღებ — ასეთია ჩემი პროფესია. აკირემიზე ზუგდიდელები დაჯარიმდნენ და მას ჯოჯუა ფიზიკურად შეეხო, რაზეც აკირემიმაც უპასუხა — ორივე ფეხბურთელი წითელ ბარათს იმსახურებდა და ვუჩვენე კიდეც.

— ისიც ითქვა, რომ აკირემის მიმართ რასისტული გამონათქვამები ისმოდაო...

— არც მოედანზე და არც ტრიბუნაზე მყოფთაგან ასეთი რამ ნამდვილად არ გამიგონია.

— მოკლედ, იმ ინციდენტისას პირველად ჯოჯუამ იაქტიურა?

— დიახ და მას აკირემიმაც გასცა პასუხი. მოხსენებით ბარათშიც სწორედ ასე დავწერე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რა მოხდა ოლიმპის გასახდელში?

## პისკოვეცი პასუხს მალავს, ალავიძე ტრავმირებულია

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის მექვსე ტურში, „ზესტაფონისა“ და რუსთავის „ოლიმპის“ მატჩის შემდეგ, რომელშიც ყვეროელებმა 2:1 მოიგეს, რუსთაველთა გასახდელში უსიამოვნო ამბავი მოხდა — როგორც შევიტყვეთ, „ოლიმპის“ მეკარე მიხეილ ალავიძეს გაბრაზებულ გულზე მუშაზე მუშტი დაურტყამს და... ტრავმაც მიუღია.

გოლკიპერი მწვრთნელ ანატოლი პისკოვეცის სიტყვებს გაუბრაზებია — უკრაინელს უთქვამს, მეორე გოლი შენი ბრალი იყო და თამაშიც პირადად შენ წააგეო.

რა როგორ იყო სინამდვილეში? ამის გასარკვევად გუშინ ჯერ *მიხეილ ალავიძეს* შევეხმიანეთ და თავიდან ტრავმაზე დავეკითხეთ...

— მადლობა ღმერთს, ტრავმა მძიმე არ არის, რამდენიმე ნაკერი მადევს და როგორც ექიმებმა მითხრეს, ვარჯიშს, სავარაუდოდ, ერთ კვირაში განვაახლებ“ — გვითხრა ალავიძემ, რომელმაც სხვა დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა, კომენტარს არ გავაკეთებო.

ამის შემდეგ „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელ *ანატოლი პისკოვეცსაც* შევეხმიანეთ...

— ვადასტურებ, მიხეილ ალავიძემ მართლაც მიიღო ტრავმა, ინერვიულა და... — გვპასუხობს უკრაინელი მწვრთნელი.

— როგორც ამბობენ, ალავიძე თქვენს სიტყვებს აუღელვებია და მუშაზე ხელი გადაუჭრია. ეს სიმართლეა?

— თქვენ ეს საიდან გაიგეთ?

— გავიგეთ და გვაინტერესებს, მართალია თუ არა ეს ამბავი...

— საერთოდ, ჟურნალისტები რატომ ინტერესდებით, რა მოხდა გუნდის გასახდელში?

— უარყოფთ თუ ადასტურებთ?

— ამ კითხვაზე ტელეფონით არ უნდა გპასუხობდეთ. ხვალ ვარჯიში მაქვს, მობრძანდით და თუ რამე გაინტერესებთ, იქ გიპასუხებთ.

...ალავიძემ ისედაც ტრავმა მიიღო და გაზეთში ამ ინფორმაციას რომ წაიკითხავს, გული ეტკინება. ამიტომ კარგი იქნება, ამის შესახებ არაფერი დაწეროთ...

*ერთი სიტყვით, ბატონი პისკოვეცი, ჩანს, ფიცხი კაცია, მაგრამ ისიცაა, რომ ამ სიფიცხით მაინცდამაინც იდეალურ მდგომარეობას ვერ ინარჩუნებს გუნდში...*

**ნუკრი ლოლაძე**





გოლი, რომელმაც ანატოლი პისკოვეცი განარისხა



# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

I წრე. 6 ტური

ჟილვან ვიეირას „ზესტაფონმა“ გიორგი კახელიშვილის „ოლიმპი“ ბოლო წუთზე მაინც გატეხა



ზესტაფონი 2:1 ოლიმპი
ვიტ ჯორჯია 1:2 ბორჯომი
ამერი 7:0 მერანი
მგლები 1:2 დინამო
მესხეთი 2:2 სიონი
ბათუმი 0:1 სპარტაკი
ლოკომოტივი 1:0 დილა

# არის ასეთი ხიბლი...

ეჭვი გვეპარება, წლევანდელი ჩვენი ჩემპიონატი შოტლანდიისას ან უკრაინისას დაემსგავსოს, სადაც ერთგან „რეინჯერს“-„სელტიკი“, მეორეგან კი „დინამო“-„შახტარის“ რბოლა მიდის ხოლმე. ბოლო წლებში საქართველოს ჩემპიონატს იმით ჰქონდა ხიბლი, რომ ოთხი-ხუთი გუნდი იბრძოდა პირველობისთვის, მაგრამ დამთავრდა მეექვსე ტური და ორი აშკარა ლიდერი გამოიკვეთა: „დინამო“ და „ზესტაფონი“ გვარიანად წინ გაიჭრნენ და ვნახოთ, მდევრებს რისი შნო-მარიფათი გამოაჩნდებათ...

# უკრაინა გაგვიბრაზდა



**„ზესტაფონისა“** და „ოლიმპის“ შეხვედრები, განსაკუთრებით კი ბოლო წუთები, მშფოთვარებად იქცა. შარშან იყო, რუსთავში ფეროელები იგებდნენ და ბოლო წუთზე რუსთაველებმა საეჭვო გოლით გაათანაბრეს, ახლა კი პირიქით, მსაჯობით ქვემოქართლელები დარჩნენ უკმაყოფილონი.

„ოლიმპის“ უკრაინელმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა ნამატჩევს თქვა, 0:0-ზე მსაჯმა დავით ხარიტონაშვილმა სუფთა პენალტი არ მოგვცა, მასპინძელთა მცველმა ხელით ითამაშაო.

„ასეთი მსაჯების ხელში ქართული ფეხბურთი წინ ვერ წავა. თუ ვერ ხედავს, სათვალე გაიკეთოს“ — თქვა პისკოვეცმა.

ბოლო შვიდ წუთში კი გოგი ფიფიას ბენეფისი იყო: შეცვლაზე შესულმა ორი გოლი გაიტანა, მათ შორის, გადამწყვეტი ისეთი შეაგდო, თავადაც გაუკვირდა მისი სილამაზე.

საერთოდაც, თვალსასეირო მატჩი გამოდგა, „ზესტაფონმა“ კი ამ სეზონში უკვე მესამედ მოახერხა ბოლო წუთებზე საქმის სათავისოდ მოტრიალება.




სიმბოლური ნაკრები

# ჯაგრის ყრა



**წაგებებით** გაავთრებულმა „ამერმა“ „მერანი“ დაიჭირა და შვიდი უპასუხო გოლი გაუტანა.

მერანელებმა პირველ ტაიმში იბრძოლეს, გაძლეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს, მერე კი, როგორც დაბალი კლასის გუნდებს სჩვევიათ, დაილალნენ და ღია კარის დღე გამოაცხადეს.

„ამერმა“ გუნება გამოიკეთა, ბოლო ორ თამაშში გიორგი ჩიხრაძის გუნდმა 13 გოლი გაიტანა.

თუ ასე გაგრძელდა, „ყვითლების“ მეტოქეებს კარგი დღე არ ელით...

# ბორჯომი დაიშოთა

**„ამერთან“** 3:0 მოგების შემდეგ „ბორჯომის“ თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ მაინც დაიჩივლა, გუნდში ერთადერთი თავდამსხმელი გვყავს შოთა ჯიქიას სახითო.

ჯიქია არასოდეს ითვლებოდა ჩვენი ჩემპიონატის გამორჩეულ ფორვარდად, მაგრამ ახლა ნამდვილად კარგ ფორმაშია და გოლი გოლზე გააქვს. ასე რომ, თორელებს ჯერჯერობით ერთი გამტანიც კარგად ჰყოფნით.

„ამერთან“ რომ შემთხვევით არ მოუგია, „ბორჯომმა“ გუშინწინაც დაამტკიცა „ვიტ ჯორჯიას“ სტუმრად ძლევით, რითაც მესამე ადგილზე ახტა.

შოთა ჯიქია ვახსენეთ და მის გვერდით სეხნია გრიგალაშვილზე არ ვთქვათ, არ იქნება — ერთ დროს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელს ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ ახლა მის ნიჭიერებაზე არავინ დავობს: გრიგალაშვილმა ვიტელებთან გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც გააზერხა.

ახლა ის უცხოეთისკენ იყურება და იმედია, ასე თუ ისე, ნორმალურ ევროპულ კლუბს მონახავს.

# ბათუმიც, კაცო?!

**ქუთაისს** და ფოთს უმაღლეს ლიგაში გუნდი არ ჰყავთ, გაისად კი შეიძლება მათ ბათუმიც შეუერთდეს. პარადოქსია, თბილისის შემდეგ ყველაზე საფეხბურთო ქალაქები ასეთ შავ დღეში რომ არიან, მაგრამ „ბარემ ჩაატარონ თბილისის ჩემპიონატი“-ს ძახილი არაფერში გამოადგებათ — ფაქტია, ამ სამ ქალაქში საკადრისად ვერ მიაქციეს ყურადღება ფეხბურთს და ჩავარდნაც ამის ბრალია.

„ბათუმს“ მხოლოდ ერთი ქულა აქვს და ცხრილის ფსკერზეა: რა შეიძლება ზღვისპირელთა ნუგეშად გამოდგეს? ალბათ ის, რომ ყველა მატჩი, მინიმალური სხვაობით წააგეს, რაც იმის მანიშნებელია, რომ გუნდი იბრძვის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 15:2 | 18 |
| ზესტაფონი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 16 |
| ბორჯომი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| მესხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| ამერი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:8 | 9 |
| მგლები | 6 | 3 | 0 | 3 | 5:5 | 9 |
| სიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:6 | 8 |
| ოლიმპი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:11 | 6 |
| დილა | 6 | 1 | 0 | 5 | 4:9 | 3 |
| მერანი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:14 | 3 |
| ბათუმი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:7 | 1 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 4 - | შ. ჯიქია | ბორჯომი |
| | მერებაშვილი | დინამო |
| | ხუციშვილი | დინამო |
| 3 - | იონანიძე | ზესტაფონი |
| | ვეიერა | ზესტაფონი |
| | ჟელიძე | ზესტაფონი |
| | კაიდარაშვილი | მესხეთი |
| | სპასოევიჩი | დინამო |
| | აქირემი | დინამო |
| | ტატანაშვილი | ამერი |
| | ფიფია | ზესტაფონი |
| | გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | ქარდავა | სიონი |

### მეექვსე ტური

28 სექტემბერი, პარასკევი

დილა – მგლები
სიონი – ზესტაფონი
ბორჯომი – მესხეთი
მერანი – ვიტ ჯორჯია

29 სექტემბერი, შაბათი

ოლიმპი – ლოკომოტივი
სპარტაკი – ამერი
დინამო – ბათუმი



# ძალიან, ძალიან უკმაყოფილო

## ცანკერმა ბულგარეთში სხვა გუნდი ჩაიყვანა

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა მარცხიანად დაიწყო 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ბულგარეთში. მარცხი ერთია და, ჰერბერტ ცანკერის ბიჭები 0:4 განადგურდნენ ხორვატ თანატოლებთან.

არადა, მატჩი ისე დაიწყო, ქართველებს წაგებისა არაფერი ეტყობოდათ. ჩვენები უფრო აქტიურობდნენ, თუმც 25-ე წუთზე ხორვატებმა კუთხური ჩააწოდეს, საჯარიმოში ყველას კელიჩმა აჯობა და ანგარიში გახსნა.

ქართველებს პირველივე ტაიმში შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება — ნიკა ძალამიძე პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ველარ მოატყუა და შანსი ხელიდან გაუშვა.

მეორე ტაიმი ქართველებს კოშმარად გადაექცათ. ცანკერის შეგირდებმა შეცდომებს უმატეს და კიდევ სამი ბურთი გაუშვეს, აქედან ორი ავტოგოლი.

47-ე წუთზე ბიცვიჩის 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი ქართველთა კაპიტან დათა რიგვავას მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და წინ გამოსულ თორნიკე ნიორაძეს თავზე გადაევლო.

65-ე წუთზე თორნიკე კაკუშაძე შეცდა, ბურთი უხეიროდ მოიგერია და კარის წინ მარტო მდგომმა კოკოტმა ანგარიში გაასამა.

ბოლო გოლი კი კურიოზული გამოდგა — ხორვატთა შორიდან დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, შემდეგ მეკარეს და კარში შევარდა — 0:4.

ამ წაგების შემდეგ ქართველებს ელიტ-რაუნდში მოხვედრა ძალიან გაუჭირდებათ. დარჩენილ ორ მატჩში მათ აუცილებლად გამარჯვებები სჭირდებათ.

რა თქმა უნდა, ჰერბერტ ცანკერი თავისი შეგირდების თამაშით უკმაყოფილო დარჩა: „მოთამაშეებით ძალიან, ძალიან უკმაყოფილო ვარ! ეს არ იყო ის საქართველოს ნაკრები, რომელმაც პორტუგალიაში ორივე შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა, განსაკუთრებით კი პირველი მატჩი. ის პორტუგალიის ნაკრები ამ ხორვატიაზე ერთი თავით მაღლა დგას. ბიჭებმა ძალიან უხეში შეცდომები დაუშვეს, რის გამოც დავისაჯეთ. მომდევნო ორ შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები მხოლოდ მოსაგებად გავა მოედანზე და გარწმუნებთ, ყველაფერს გაიღებს გამარჯვებისთვის".

ხორვატებთან ცანკერმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ნიორაძე, რიგვავა, მირცხულავა, კაკუშაძე (კაჭახიძე 75), რობაქიძე, ნ. შონია, გურეშიძე (მელიქიშვილი 50), გუგუჩია (რაფავა 50), ანანიძე, ძალამიძე, შეყილაძე.*

ხვალ ქართველები ქალაქ ალბენაში უნგრელებს შეხვდებიან, რომლებმაც გუშინ მასპინძლები, ბულგარეთის ნაკრები ასევე დიდი ანგარიშით, 3:0 დაამარცხეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შეგიძლიათ, ასე დაწეროთ

## ივანოვიჩმა ასათიანი თქვა

„ლოკომოტივი" — „სპარტაკის" მატჩის მეოთხე წამატებულ წუთზე მალხაზ ასათიანმა „სახალხო გუნდს" მეოთხე გოლი გაუტანა და „ლოკოს" მოაგებინა.

„ასკა" ისტორიაში შევიდა, როგორც „სპარტაკის" კარში ყველაზე გვიანი გამარჯვების გოლის ავტორი. მანამდე სპარტაკელთათვის როსტოველ ისო კანიენდას 93-ე წუთზე (2:3) და ასევე ლოკომოტიველ ჯეიმს ობიორას 92-ე წუთზე (1:2) უწყენინებიათ.



ასათიანი საიუბილეო გოლის ავტორიცაა — მან „ლოკომოტივის" 750-ე გოლი გაიტანა რუსულ პრემიერლიგაში.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენებურმა ამ მატჩში პენალტიც „აიკიდა" და ყვითელი ბარათიც, თითქმის ყველა რუსულმა გამოცემამ ტურის სიმბოლურში შეიყვანა. „სპორტ-ექსპრესმა" კი ეს პატივი ამ სეზონში მეორედ არგუნა.

თუმც რადიო „მაიაკთან" საუბარში ასათიანი საკუთარ თავს გმირად სულაც არ მიიჩნევს: „ერთი ასეთი მატჩიც მახსოვს. მაშინ ცსკას 3:2 მოვუგეთ. არც ეს თამაში „იმსახურებდა" ფრეს — ან ჩვენ უნდა მოგვეგო, ან „სპარტაკს". კარგია, რომ გავიმარჯვეთ. მადლობა გულშემატკივარსა და თანაგუნდელებს. დღეს ყველამ ჩინებულად ითამაშა, გმირი მარტო მე სულაც არ ვარ".

სხვაგვარად თვლის ასათიანთან ნაკონფლიქტარი თანაგუნდელი სერბი ბრანისლავ ივანოვიჩი. მან რუს ჟურნალისტებს პირდაპირ განუცხადა: „ეს მატჩი მალხაზმა მოიგო! შეგიძლიათ, ასე დაწეროთ".

ასათიანი კი „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტთან საუბარს ხუმრობით იწყებს:

„კარში დარტყმას არც ვაპირებდი, ყველა წინ გაიქცა, ბურთი შემთხვევით მომხვდა თავში. სიმართლე გითხრათ, ცოტა გაგვიმართლა კიდეც. მადლობა ბიჭებს თავდაუზოგავი თამაშისთვის. 0:2-ზეც კი არ გვქონდა იმედი დაკარგული. პავლიუჩენკო? მან სამი გაიტანა, ჩვენ კი ოთხი და მოვიგეთ. ჯერ საუკეთესო ფორმაში ვერ ვარ, მაგრამ ვცდილობ, მწვრთნელის ყველა დავალება შევასრულო".

ბოლოს მალხაზმა ჟურნალისტებს ერთიც გაუმხილა, ასეთი მძიმე მატჩის შემდეგ განტვირთვა აუცილებელია და ერთ ჭიქა ქართულ ღვინოზე უარს არ ვიტყვი...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჰაინცვაი რუმინეთთან

## უფროს ტოპმიოლერს საქართველო არ მოეწონა

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის რუმინეთში ემზადება. ჰაინც ტოპმიოლერის გუნდს მასპინძლებთან ორი ტესტ-მატჩი ჰქონდათ დაგეგმილი, მათგან ერთი კი გუშინ გამართეს და 0:2 დამარცხდნენ.

მატჩი ქალაქ მოგოშოიაში, რუმინეთის ნაკრებების ტექნიკურ ცენტრში გაიმართა და მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. ვლახებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს: მე-15 წუთზე პეტერ პაუმ ნაკუთხურალს დაჰკრა თავი, 77-ე კი ვლადიუ ალექსიმ შორიდან ძლიერი დარტყმით მეორე გაუტანა გიორგი მაკარიძეს.

„ფეხბურთელებმა თავი ისე ვერ წარმოაჩინეს, როგორც საჭიროა და თავისთავად უკმაყოფილო ვარ. ამხანაგური მატჩი ოფიციალური შეხვედრებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ, თუმც შედეგსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. მომდევნო მატჩში აუცილებლად გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ" — განაცხადა ნამატჩევს უფროსმა ტოპმიოლერმა.

საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: *მაკარიძე, თ. შონია, გაბუნია, ქრიავიშვილი, სანაია (ვავაშელიშვილი 65), დაუშვილი, ჩარგეიშვილი (ხუმარაშვილი 75), ღვინიაშვილი, თარგამაძე, ყენია, ივანიშვილი (ბლაგიძე 46).*

ხვალ ეს გუნდები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დავით მუჯირმა სამკლავურიც დაიბრუნა და ვალსაც იბრუნებს

ორთვიანი პაუზის შემდეგ სამარის „კრილია სოვეტოვის" ქართველმა შემტევმა დავით მუჯირმა გოლის გემოც გაიხსენა, თავისივე ნებით მოხსნილი სამკლავურიც ისევ მოარგეს და „ტომთან" (1:1) მატჩშიც გუნდს უკაპიტნა. ჩვენებურმა კარგად ითამაშა — გოლიც გაიტანა, მედვედევი შესანიშნავი გადაცემით მეკარესთან პირისპირაც დატოვა, მაგრამ თანაგუნდელმა დაალალატა. ერთი კი ისეთი ლაზათიანი დაჰკრა, ხარიხამ ზანზარი დაიწყო. კარგი თამაშისთვის მუჯირს საჩუქარი ნამატჩევს გადასცეს. „ერთხელ სამარის ერთ-ერთ კოლონიაში ვიყავი საქველმოქმედო აქციით. მაშინ შემპირდა ერთი პატიმარი, რომ თავისი ხელით გაკეთებულ ნარდს მაჩუქებდა. გათავისუფლებულა, მატჩზე მოვიდა და საჩუქარიც გადმომცა" — ნარდით ხელში შედიოდა გასახდელში ჩვენებური, თუმც მანამდე გუნდისა და თავის თამაშზე ესაუბრა ჟურნალისტებს...

— „კრილია სოვეტოვი" ცუდად თამაშობს...

— მართალია. ახლა ცუდი დრო გვიდგას, მატჩის დასაწყისი ჩავაგდეთ, გაგვიმართლა, რომ მეტოქე კაცნაკლული დარჩა. მეორე ტაიმი უკეთ კი ვითამაშეთ, მაგრამ ისევ მომენტების გამოუყენებლობის გამო მხოლოდ ქულას დავჯერდით.

— თან სამი თვეა, გუნდში ხელფასი არ დარიგებულა...

— ივლისის ხელფასი ახლა ავიღეთ, მაგრამ ხელმძღვანელობამ გვითხრა, რომ მალე ყველა ვალს დაფარავს.

— ისიც გასათვალისწინებელია, რომ რთული კალენდარი დაგრჩათ...

— ზედიზედ ორი რთული გასვლა გვიწევს — „დინამოსთან" და „კუბანთან". ქულები ძალიან გვჭირდება, რადგან გავარდნის საფრთხე გვემუქრება. ძნელი ფინიში გველის, თუმცა ჩვენი თავის და იღბალის იმედად ვრჩებით, რაც ამ ბოლოს დროს ძალიან გვაკლია.

— თქვენს თამაშზე რას იტყვით?

— ცუდად ვითამაშე-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ეს არც ჩემი საუკეთესო მატჩი ყოფილა. გოლიც გავიტანე და მეტოქის კართან სახიფათო მომენტებსაც ვქმნიდი.

— რას იყვირეთ მოედანზე იმ დროს, როდესაც ბურთი ხარიხას გაარტყით?

— ალბათ ვიგინებოდი. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს. ემოცია ძლიერია, როცა ახლოს ხარ მიზანთან და ვერ გაგაქვს ლამაზი და გუნდისთვის საჭირო გოლი. იმედია, დარჩენილ მატჩებში უფრო გამიმართლებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გრანტი მაურინიუს ნელ-ნელა ემსგავსება



AFP

**ავრაამ გრანტი** ქოზე მაურინიუს ჯერჯერობით ერთ რამეში, მსაჯის ლანძღვაში ემსგავსება. „მანჩესტერთან“ მატჩში „ჩელსის“ 32-ე წუთზე ჯონ ობი მიკელი გაუძევეს პატრის ევრასთან უხეშობისთვის და ამის მერე სტუმრებს ორი გაუტანეს. მეორე გოლი საამ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტით შეაგდო და ისე ჩანდა, რომ ფრანგმა ფორვარდმა ითაღლითა. ხოლო პირველი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს კარლოს ტევესმა გაიტანა, როცა მსაჯმა, გრანტის აზრით, დამატებულ დროს გადააჭარბა.

„არბიტრი მხოლოდ სამჯერ შეცდა — თქვა გრანტმა ირონიულად — გაძევებისას, დროის დამატებისა და პენალტისას. დანარჩენ შემთხვევებში კი, კარგად იმსაჯა. ფერგიუსონი ალბათ უფრო გახარებულია მსაჯობით, მაგრამ ალექსი ალექსია“.

თავის მხრივ, ალექს ფერგიუსონსაც ჰქონდა პრეტენზია მსაჯ მაიკ დინთან: „ჯო კოულმა კრიშტიანუ რონალდუს უკნიდან ფეხი რომ გამოუსვა, უნდა გაეძევებინა, მაგრამ მიკელი უკვე გაგდებული იყო და დინმა ამიტომ დაინდო და მხოლოდ ყვითელი აჩვენა“.

ავრაამ გრანტს არ აქვს უეფას სათანადო ლიცენზია, რომელიც პრემიერლიგაში მუშაობის უფლებას მისცემს. ამ ლიცენზიის ასაღებად 240-საათიანი კურსის გავლა მოუწევს. ამიტომ გრანტს კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია და სამ თვეში ლიცენზიის პრობლემა უნდა მოაგვაროს.

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

## ვან ბასტენი ჩელსისთვის

**ბრიტანული** „ნიუს ოფ ზე ვორლდის“ ცნობით, „ჩელსის“ მწვრთნელად, შესაძლოა, ჰოლანდიის ნაკრების თავკაცი მარკო ვან ბასტენი დანიშნონ.

ვან ბასტენს კარგად იცნობს „ჩელსის“ სპორტული დირექტორი ფრენკ არნესენი და, როგორც ამბობენ, სავარაუდო კანდიდატთა სიაში ჰოლანდიელი პირველია.

სხვათა შორის, ვან ბასტენი და რომან აბრამოვიჩი „მანჩესტერის“ — „ჩელსი“ მატჩზე ერთად იყვნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვინ მიდის? დროგბაც და ბალაკიც!

**ლონდონის** „ჩელსის“ ფეხბურთელებზე დიდი ნადირობა იწყება.

მას შემდეგ, რაც რომან აბრამოვიჩმა „სტემფორდ ბრიჯიდან“ ქოზე მაურინიუ დაითხოვა, ფეხბურთელები თავს კარგად ვერ გრძნობენ და შესაფერისი შემოთავაზების შემთხვევაში მზად არიან, „ლურჯი არმია“ ახალ გუნდზე გაცვალონ.

მაურინიუს ყოფილი შეგირდების, დიდიე დროგბასა და მიხაელ ბალაკის შეძენას მადრიდის „რეალი“ აპირებს. ბრიტანული „თაიმსის“ ვერსიით, „სამეფო თეთრები“ კოტდივუარელისა და გერმანელის შესაძენად ბოლომდე იბრძოლებენ.

დიდიე დროგბა ის კაცია, რომელმაც „ჩელსიდან“ მაურინიუს წასვლა ყველაზე ემოციურად განიცადა. აფრიკელელს მწვრთნელთან გამომშვიდობებისას თვალზე ცრემლი მოადგა და მერე მედიასთან დანანებით თქვა: „მაურინიუს შემდეგ „ჩელსიში“ სხვა მწვრთნელთან მუშაობა ვერ წარმომიდგენია. ქოზეს შეეძლო, ფეხბურთელებთან ურთიერთობის იდეალური სტილი მოეძებნა“.

ამიტომაც ცდილობს „რეალი“ სიტუაციიდან სარგებლის ნახვას და მადრიდელი აგენტები მაურინიუს დაკარგვით განაწყენებულ დროგბას ყოველ ნაბიჯს ყურადღებით აკვირდებიან.

ისე, „რეალს“ კოტდივუარელის შესაძენად მეტოქეც მძლავრი ეყოლება — სილვიო ბერლუსკონის „მილანი“.

„თაიმსმა“ „სამეფო გუნდის“ მწვრთნელ ბერნდ შუსტერის ნათქვამიც გამოაქვეყნა. გერმანელი ამბობს, რომ დროგბას მადრიდიდან კარგა ხანია, უთვალთვალებენ და მისი ყიდვისთვის შესაფერისი დროც მოვიდა.

ბალაკის შესახებ კი „ბერნარდომ“ განაცხადა: „უკვე ზაფხულში უნდა მოსულიყო ბალაკი „რეალში“, „ჩელსიში“ დარჩენით ტყუილუბრალოდ დრო დაკარგა“.

**ლადო ხომერიკი**

# კმაყოფილი სავიოლა შუსტერის მხარეს

**ხავიერ სავიოლამ მადრიდის „რეალი“ ნაგებას გადაარჩინა — რომ არა „ბაჭიას“ აუღებელი დარტყმა, „სამეფო თეთრები“ სეგუნდადივიზიონიდან ახალამოსულ „ვალიადოლიდთან“ დამარცხდებოდნენ. ექსბარსელონელ სავიოლას „ვალიადოლიდთან“ ჯახის დასასრულს მადრიდული „ასი“ გაესაუბრა...**




— მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში უკვე ზედიზედ მეორე გოლი გაიტანეთ...

— ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგანაც საქმე კარგად მიდის. უბედობას ნამდვილად ვერ დავიჩივლებ.

— ბერნდ შუსტერი როტაციების მიმდევარი მწვრთნელია. ფიქრობთ, რომ ეს სასიკეთო შედეგს მოგიტანთ?

— როტაციები ამართლებს. შუსტერის მიერ შემოღებულმა წესმა ყველას აჩვენა, რომ გუნდში არც ხელშეუხებელთა კასტა არსებობს და არც ჩაგრულთა ჯგუფი. სეზონი დიდხანს გრძელდება, კიდევ უამრავი მატჩი უნდა ვითამაშოთ და ფორმაში უნდა ვიყოთ.

— „ვალიადოლიდმა“ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. მასპინძლებს ბრძოლა წუთითაც არ შეუწყვეტიათ...

— მათთან შერკინება მართლაც ყველა გუნდს გაუჭირდება. საერთოდაც, წლეულს სეგუნდადივიზიონიდან მაღალი დონის კლუბები შემოგვემატნენ და თუ მათ ასე გააგრძელეს, ლიგაში დარჩენაზე პრობლემა არ ექნებათ.

— გოლი გაიტანეთ და დაამტკიცეთ, რომ მოედანზე უფრო დიდი ხნით ყოფნას იმსახურებთ. თქვენი აზრით, ითამაშებს ხავიერ სავიოლა პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში „ბეტისის“ წინააღმდეგ?

— წინასწარ არავინ იცის, „ბეტისთან“ ვინ ითამაშებს. ეს მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს, ჩვენ კი, ფეხბურთელები, ფორმაში უნდა ვიყოთ — ვინ იცის, შუსტერს ჩვენი დახმარება რომელი მატჩისთვის დასჭირდება.

— „ვალიადოლიდს“ მთელი 90 წუთის განმავლობაში ტემპი არ დაუგდია. „რეალი“ კი უფრო მეტ პრობლემებს მაშინ განიცდის, როცა ბურთით მანევრირების უფლებას ჩვეულებრივზე მეტად ართმევენ...

— ჩვენი ფეხბურთის ხასიათიდან გამომდინარე, ბურთით მანევრი საუკეთესოდ გამოგვდის და ასე ხიფათსაც მეტს ვქმნით. როცა „რეალს“ ამ იარაღს ართმევენ, პრობლემებიც იქმნება, ისევე, როგორც ახლა, ან „ალმერიასთან“ მოხდა.

— ამ სიტუაციას რითი ახსნით? ასეთი გუნდები „რეალს“ რას უპირისპირებენ?

— არ ვიცი, ბურთის დაკარგვის მიზეზები როგორ უნდა ავხსნა. დარწმუნებული ვარ, მწვრთნელი ამ ამოცანას ამოხსნის, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს მეტოქეც — „ვალიადოლიდიც“ და „ალმერიაც“ პრიმერაში თავიანთი ყოფნის მართებულობას ამტკიცებენ. მათი ფიზიკური და სულიერი სიძლიერე იმაში ჩანს, თუ როგორ უნდოდათ მადრიდის „რეალთან“ გამარჯვება...

## ოუენს გაჭრიან

**„ვესტ ჰემთან“** მატჩში „ნიუკასლის“ ფორვარდი მაიკლ ოუენი დაშავდა და შეცვალეს.

ინგლისის ნაკრების თავდამსხმელს საზარდული სტკივა და ოპერაცია სჭირდება. „ნიუკასლის“ მწვრთნელმა სემ ალარდაისმა განაცხადა, რომ ბიჭისთვის მსოფლიოში საუკეთესო ქირურგს ნახავს, რათა ფეხბურთელი თვენახევარში ისევ ფორმაში ჩადგეს.

## ფული გინდა? გადი!

**მოსკოვის** ცსკა-ს პრეზიდენტმა ევგენი გინერმა ფეხბურთელებს გამოუცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თუ ვერ გავლენ, პრემიას ვერ მიიღებენ, არადა, პრემია საკმაოდ მსუყეა — კაცზე 50 ათასი ევრო.

შეგახსენებთ, რომ ცსკა პირველ ტურში სტუმრად პსვ-სთან 1:2 დამარცხდა.

რუსეთის ჩემპიონატში გუნდი მოგებაზე 7-დან 25 ათასამდე დოლარს იღებს მეტოქის სიძლიერის მიხედვით.

## ლივერპულთან უნასროდ

**„მარსელისა“** და საფრანგეთის ნაკრების ნიჭიერი ნახევარმცველი სამირ ნასრი ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულთან“ მატჩს გამოტოვებს.

20 წლის ფეხბურთელს, რომელსაც ზინედინ ზიდანს ადარებენ, გრიპი შეჰყრია და საავადმყოფოში დააწვინეს, შვიდი დღე უმკურნალებენ. ნასრი დაახლოებით ორ კვირაში ჩადგება ფორმაში.

## მდიდარი მეთოფეები

**„არსენალის“** მწვრთნელ არსენ ვენგერს 70 მილიონ გირვანქას მისცემენ ტრანსფერებისთვის.

„ჰაიბერიდან“ „ემირატზე“ გადაბარგებული კლუბის ბიუჯეტი 50 პროცენტით, დაახლოებით 200 მილიონით გაიზარდა შარშანდელთან შედარებით. ეს კი ნიშნავს, რომ „არსენალი“ ევროპაში მადრიდის „რეალის“ შემდეგ ყველაზე მდიდარი კლუბია. „მეთოფეთა“ სუფთა მოგებამ 51 მილიონ 200 ათასი გირვანქა შეადგინა ერთ სეზონში.

## კარეუს თვენახევარი

**ნორვეგიის** ნაკრების ფორვარდი იონ კარეუ ბოსნიასთან ევროშესარჩევ მატჩში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. „ასტონ ვილას“ თავდამსხმელი კვირას დაშავდა „ევერტონთან“ და მეორე ტაიმში შეცვალეს. მის მკურნალობას დაახლოებით თვენახევარი დასჭირდება.

ნორვეგია, რომელიც შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზეა, ბოსნიას 17 ოქტომბერს ესტუმრება.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ბრაზილია

**სერია A. XXV ტური**

ატლეტიკო პრ. — პარანა 2:1; ბოტაფოგო — ფლუმინენსე 0:2; ვასკუ და გამა — კრუზეირო 0:2

### არგენტინა

**აპერტურა. X ტური**

ბოკა ხუნიორსი — ხიმნასია (ხ) 2:2; ლანუსი — ესტუდიანტესი 1:0; არსენალი — რასინგი 0:1

### აშშ

**მეიჯორლიგა XXVI ტური**

ჩიკაგო — ვაშინგტონი 1:1; ლოს ანჯელესი — დალასი 2:1

### პერუ

**კლაუსურა. XI ტური**

სან მარტინი — სპორტ ბოისი 1:1; ბოლონეზი — ანკაში 2:0; სიენსიანო — დეპორტივო 4:0; ლიმა — მელგარი 0:0

### ჩილე

**კლაუსურა. X ტური**

უაჩიპატო — უნივ. დე ჩილე 2:3

### მექსიკა

**აპერტურა. IX ტური**

სანტოსი — პუებლა 4:1

# არ გვიჩხუბია!
## მუტუმ და ვიერიმ ერთმანეთი უარყვეს



ფლორენციის „ფიორენტინას“ თავდამსხმელებმა კრისტიან ვიერიმ და ადრიან მუტუმ უარყვეს ინფორმაცია, თითქოს ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდეთ.

საქმე ისაა, რომ კვირას „კატანია“ — „ფიორენტინას“ მატჩისას, 69-ე წუთზე შეცვლაზე შესული ვიერი და შეხვედრაში ერთადერთი გოლის ავტორი მუტუ რამდენჯერმე წაკინკლავდნენ. ბუნებრივია, ამ ამბავზე იტალიურმა პრესამ მყისვე დიდი მითქმა-მოთქმა ააგორა.

„ეს არ იყო ჩხუბი და უთანხმოება. უბრალოდ, მინდორზე ცოტა ხმამაღლა ვეკონტაქტებით ერთმანეთს. ეს ორივეს კარგად გვესმის. ყვირილის შემდეგ მან ორი ჩინებული პასი მომცა, რომლებიც უკეთ უნდა გამომეყენებინა“ — თქვა ვიერიმ.

ადრიან მუტუ: „ვიერისთან კარგი ურთიერთობა მაქვს. კარგად ვითამაშეთ და სიცილიიდან საჭირო 3 ქულა წამოვიღეთ. გავიტანე და კინაღამ საგოლე პასიც გავუკეთე კრისტიანს. ასე რომ, ძალიან კმაყოფილი ვარ“.



**გიორგი ძაძაბაძე**

# ხარვეზიანი ინტერი

**რობერტო მანჩინიმ** და მისმა „ინტერმა“ ისევ ვერ გაამართლეს ფანების მოლოდინი. „ნეროაძურიმ“ კვლავ ცუდად ითამაშა და ბოლო ადგილზე მყოფ „ლივორნოსთან“ მხოლოდ ქულას დასჯერდა.

„პირველი გაშვებული გოლისას უხეში შეცდომა დავუშვით, დაცვას ჩაეძინა, რაც დაუშვებელია. მერე ბევრი მომენტი შევქმენით და ვერ გამოვიყენეთ. მეორე ნახევარშიც ცუდად გამოვიყურებოდით, ბევრი ხარვეზი გვქონდა. მთლიანობაში ფრე სამართლიანი შედეგი იყო. ერთადერთი გამოსავალი ახლა ის არის, რომ ყველა ცუდი აზრი გავფანტოთ, შემდეგ კი მშვიდად და შემართებით გავაგრძელოთ მუშაობა“ — აღნიშნა მანჩინიმ.

„ლაციოს“ ექსთავკაცმა უსაყვედურა დუგლას მაიკონს, ვინც მე-80 წუთზე უაზროდ აიკიდა წითელი ბარათი და თავისი გუნდი საფრთხეში ჩააგდო. სამაგიეროდ, მანჩინიმ გაამხნევა ადრიანო, რომელსაც რამდენიმე მომენტი ჰქონდა. ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებული ბრაზილიელი ფორვარდი ჯერ ისევ ამაოდ ცდილობს ძველებურად ათამაშებას.

„მაიკონმა ძალიან უხეში შეცდომა დაუშვა. მას ეს არ ეპატიება. 11 კაცით ბოლო წუთებში უკეთ შევუტევდით. ამის მაგივრად კი საფრთხის წინაშე დავდექით. რაც შეეხება ადრიანოს, მან კარგად ითამაშა, უკეთ, ვიდრე წინა ტურში და ეს მნიშვნელოვანია. იგი სწორ გზაზე დგას, მაგრამ ფორმის აღსადგენად დრო სჭირდება. მთავარია, ასე გააგრძელოს“ — დასძინა მანჩინიმ.

„ლივორნოს“ მწვრთნელი ნანდო ორსი კი თვლის, რომ მისი გუნდი მოგებას იმსახურებდა.

სხვათა შორის, იგი ერთი ხანობა რომის „ლაციოშიც“ და „ინტერშიც“ მანჩინის თანაშემწედ მუშაობდა.

„ამ მატჩში ჩვენ ქულაზე მეტი დავიმსახურეთ. ბოლო წუთზე სეზარმა საოცრად მოიგერია ერიონ ბოგდანის დარტყმული, თორემ მიოვიგებდით. კარგად ვითამაშეთ და ეს შეხვედრა სეზონის ცუდად დაწყების შემდეგ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო“ — განაცხადა ორსიმ.

**კოკი კანდელაკი**

# ანდრადეს მუხლმა უმუხთლა

**პორტუგალიელ** მცველ ჟორჟე ანდრადეს „რომასთან“ მატჩში მიღებული ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა — იუვენტუსელმა მარცხენა მუხლზე ჯვარედინი მყესები დაიზიანა და ოპერაციას საჭიროებს. სავარაუდოდ, „დეპორტივოს“ ყოფილი ფეხბურთელი ექვსი თვე ვერ ითამაშებს.

„ვშიშობ, ანდრადეს ტრავმა ძალიან სერიოზულია. მას მსგავსი დაზიანება ადრეც ჰქონდა. სამწუხაროდ, იგი რამდენიმე თვე დაგვაკლდება. ჟორჟე ძალიან გულწაყვეტილია“ — თქვა „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

„იუვეს“ დაცვაში ისედაც უჭირს და ეს კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის გუნდს. განსაკუთრებით უახლოეს მატჩებში, რადგან ჯორჯო კიელინი ან ... ძებნამ კიდევ სამი მატჩი უნდა გამოტოვოს და მხოლოდ ამის შემდეგ მოიხდის დისკვალიფიკაციას. ხოლო ჟან-ალენ ბუმსონგი კიდევ დაახლოებით თვენახევარი იქნება ლაზარეთში.

ამ ყველაფრის გამო „იუვე“ ახალი მცველის შეძენას აპირებს...

**კოკი კანდელაკი**



ანდრადე მოედნიდან საკაცით გაიყვანეს

## ჯონი და ბახრამოვი

**ელტონ ჯონმა** ცოტა ხნის წინ თქვა, აზერბაიჯანელ [illegible] ტოფიკ ბახრამოვს ერთ სიმღერას მივუძღვნიო.

მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალში ბახრამოვმა ინგლისს გერმანიასთან გოლი აჩუქა და მასპინძლები ჩემპიონები გახდნენ.

ელტონ ჯონმა რამდენიმე დღის წინ ბაქოში ორსაათიანი კონცერტი გამართა, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა — აზერბაიჯანელები ამაოდ ელოდნენ სიმღერას ბახრამოვზე.

## ლაციომ ხერმანი ნახა

**„ლაციოს“** არგენტინული „ინდეპენდიენტედან“ ხერმან დენისის ყიდვა უნდა, რადგან ფორვარდი ტომაზო როკი გუნდიდან წასვლას აპირებს.

მიუხედავად იმისა, რომ როკიმ სამ სეზონში 110 მატჩში 48 გაიტანა, კლუბი ჯამაგირს არ უმატებს და ამიტომაც აპირებს აბარგებას.

დენისი 2003-04 წლებში „ჩეზენაში“ თამაშობდა და 28 შეხვედრაში მხოლოდ 3 გოლი მიითვალა.

არგენტინელი ამჟამად კარგ ფორმაშია და სწორედ მისი გოლების წყალობით არის „ინდეპენდიენტე“ ცხრილის თავში.

დენისის ფასი დაახლოებით 10 მილიონი ევროა.

## იყოს ჰაიკო

**„კოტბუსის“** მწვრთნელად დროებით ჰაიკო ვებერი დანიშნეს.

პატრიკ სენდერი „ვოლფსბურგთან“ საშინაო მარცხის შემდეგ მოხსნეს და უნდოდათ, გუნდი მისი თანაშემწე თომას ჰოსმანგისთვის ჩაებარებინათ, მაგრამ იგი სენდერთან მეგობრობდა და თავისი ნებით წავიდა.

ვებერი მანამდე „კოტბუსის“ 23-წლამდელთა გუნდში მუშაობდა.

## ოთხი წელი სიტიში

**„მანჩესტერ სიტისა“** და დანიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ, კასპერ შმაიხელმა კლუბთან კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. ასე დააჯილდოვეს ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შვიდ მატჩში ხუთი გოლი გაუშვა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ მისით და მჯერა, რომ დიდი მეკარე დადგება“ — თქვა „სიტის“ მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა.

კასპერ შმაიხელი პეტერ შმაიხელის შვილია.

## პრეზიდენტი დაიღალა

**სპლიტის** „ჰაიდუკის“ პრეზიდენტი ბრანკო გრგიჩი გუშინ გადადგა. მისმა გუნდმა „რიეკასთან“ სტუმრად 0:4 წააგო და წასვლის მიზეზიც ესაა.

„გუნდი ცუდად თამაშობს და ამან ძალიან დამღალა. ამიტომაც გადავწყვიტე გადადგომა“ — თქვა გრგიჩმა, რომელიც „ჰაიდუკში“ 2000 წლიდან იყო.

ხორვატიული გუნდი ჩემპიონატში მეხუთეა ცხრა ტურის შემდეგ, უეფას თასიდან კი „სამპდორიამ“ გააგდო.

## როზინა გაძვირდა

**დონეცკის** „შახტარი“ ტორინოელი ალესანდრო როზინათი დაინტერესდა.

უკრაინელები „ტორინოს“ ადრე 15 მილიონ ევროს სთავაზობდნენ იტალიის ახალგაზრდული ნაკრები ფორვარდში, ახლა კი ფასს მოუმატეს და 25-ის გადამხდელები არიან.

როზინას შეძენა „ინტერს“, „რომას“, „ჩელსის“, „ატლეტიკოს“, „ბენფიკასა“ და „მარსელსაც“ სურთ.

## რეალმა ჩამოწერა

**მადრიდის** „რეალმა“ ჩამოწერა იმ ფეხბურთელთა გვარ-სახელები, რომლებსაც იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას ან გაყიდიან ან გაანათხოვრებენ.

„დიარიოსპორტის“ ცნობით, ესენი არიან: მიჩელ სალგადო, მიგელ ტორესი, რობერტო სოლდადო, ჟულიო ბაპტისტა და ხორდი ბალბოა.

## ფეეს წელი დაუმატეს

**„შტუტგარტის“** მწვრთნელმა არმინ ფეემ კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გააზანგრძლივა, მიუხედავად იმისა, რომ სეზონი ცუდად დაიწყეს და მეცამეტე ადგილზე არიან.

ფეე „შტუტგარტში“, რომელიც წინა სეზონში ჩემპიონი გახდა, 2009 წლის ივნისამდე დარჩება.

მწვრთნელმა კონტრაქტს ხელი კვირას, „ვერდერთან“ წაგების მეორე დღეს მოაწერა.

## გალიანი პროკურორთან

**„მილანის“** ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი სასამართლოში დაიბარეს, რადგან ფინანსურ მაქინაციაშია ეჭვმიტანილი. მასთან ერთად დაბარებულები არიან „ინტერის“ ვიცე რონალდო გელფი და ამ კლუბის ყოფილი აღმასრულებელი შეფი მაურო გამბარო.

მილანის პროკურორი ეჭვობს, რომ კლუბები ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვისას ოფიციალურად სხვა ფასს უთითებდნენ და გადასახადებს მალავდნენ. ამ საქმეში გადიოდა „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატიც, მაგრამ „სუფთა“ აღმოჩნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ეს კარგია, ის ცუდი

**მიმდინარე** სერია A-ს პირველი დიდი მატჩი მშვენიერი გამოდგა — „რომამ“ და „იუვენტუსმა“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ ორორი გოლი გაცვალეს და ქულები გაიყვეს. ბუნებრივია, ეს შედეგი უფრო ტურინელებს აძლევდათ ხელს. ამას მათი მწვრთნელი კლაუდიო რანიერიც ადასტურებს...

„ფრე ბრწყინვალე შედეგია. „რომას“ დიდ პატივს ვცემთ. მით უმეტეს, ახლა ეს გუნდი ბრწყინვალე ფორმაშია. თუმცა თამაში წაგვივიდა, პენალტიც გავაფუჭეთ... დაცვამ ძალიან კარგად ითამაშა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რამდენ მომენტს ქმნის „რომა“ ნებისმიერ მეტოქესთან. რაც მთავარია, კლავ გამოვავლინეთ ჩვენი მებრძოლი ხასიათი. ტოტი კი ტოტია, ანადგურებს ყველაფერს, რაც წინ ხვდება, ქმნის და აგვირგვინებს“ — თქვა რანიერიმ.

„იუვეს“ თავკაცის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საკმაოდ მოულოდნელი და თამამი გადაწყვეტილება მიიღო, როცა „რომასთან“ 4-3-3 სქემით თამაში არჩია და დავიდ ტრეზეგესა და ალესანდრო დელ პიეროსთან ერთად ძირითად შემადგენლობაში ვინჩენცო იაკინტაც დააყენა. ამან გაამართლა.

| 11105 | დუისბურგი-შალკე | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11107 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11205 | ჯენოა-უდინეზე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11206 | ინტერი-სამპდორია | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11207 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11209 | ლაციო-კალიარი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11210 | ნაპოლი-ლივორნო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11211 | პალერმო-მილანი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11213 | პარმა-ტორინო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11214 | სიენა-ატალანტა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11215 | კატანია-ემპოლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11216 | ფიორენტინა-რომა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11270 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11272 | ოსასუნა-ლევანტე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11273 | ბილბაო-ატლეტიკო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11274 | რასინგი-ვილიარეალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11275 | მურსია-ალმერია | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11276 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11277 | რეალი-ბეტისი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11279 | ვალენსია-ხეტაფე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11281 | სევილია-ესპანიოლი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11283 | დეპორტივო-უელვა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11575 | არსენალი-ნიუკასლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11576 | ბლეკპული-საუთენდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11577 | ბარნლი-პორტსმუთი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11578 | ლუტონი-ჩარლტონი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11579 | სიტი-ნორვიჩი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11580 | რედინგი-ლივერპული | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11581 | შეფილდი-მორიკომბი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11582 | ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11583 | ჰალი-ჩელსი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11584 | მანჩესტერი-ქოვენტრი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11585 | უენსდი-ევერტონი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11586 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11587 | ვესტ ჰემი-პლიმუთი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11588 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11589 | ფულემი-ბოლტონი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11766 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12097 | ბაიერნი-კოტბუსი | 2.50 | 1.35 |
| 12099 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.70 |
| 12100 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12101 | ჰერტა-ჰანზა | 2.00 | 1.60 |
| 12102 | არმინია-ჰანოვერი | 2.00 | 1.60 |
| 12103 | აინტრახტი-კარლსრუე | 2.00 | 1.60 |
| 12104 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2.00 | 1.60 |
| 12105 | დუისბურგი-შალკე | 2.00 | 1.60 |
| 12107 | შტუტგარტი-ბოხუმი | 2.00 | 1.60 |
| 12205 | ჯენოა-უდინეზე | 1.60 | 2.00 |
| 12206 | ინტერი-სამპდორია | 1.90 | 1.70 |
| 12207 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 12209 | ლაციო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12210 | ნაპოლი-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12211 | პალერმო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12213 | პარმა-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 12214 | სიენა-ატალანტა | 1.60 | 2.00 |
| 12215 | კატანია-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12216 | ფიორენტინა-რომა | 1.90 | 1.70 |
| 12270 | ბარსელონა-სარაგოსა | 2.00 | 1.60 |
| 12272 | ოსასუნა-ლევანტე | 1.60 | 2.00 |
| 12273 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.60 | 2.00 |
| 12274 | რასინგი-ვილიარეალი | 1.60 | 2.00 |
| 12275 | მურსია-ალმერია | 1.60 | 2.00 |
| 12276 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1.60 | 2.00 |
| 12277 | რეალი-ბეტისი | 2.00 | 1.60 |
| 12279 | ვალენსია-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 12281 | სევილია-ესპანიოლი | 1.90 | 1.70 |
| 12283 | დეპორტივო-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 12575 | არსენალი-ნიუკასლი | 1.90 | 1.70 |
| 12576 | ბლეკპული-საუთენდი | 1.90 | 1.70 |
| 12577 | ბარნლი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12578 | ლუტონი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12579 | სიტი-ნორვიჩი | 1.90 | 1.70 |
| 12580 | რედინგი-ლივერპული | 1.90 | 1.70 |
| 12581 | შეფილდი-მორიკომბი | 1.90 | 1.70 |
| 12582 | ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 1.90 | 1.70 |
| 12583 | ჰალი-ჩელსი | 1.90 | 1.70 |
| 12584 | მანჩესტერი-ქოვენტრი | 2.00 | 1.50 |
| 12585 | უენსდი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12586 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 12587 | ვესტ ჰემი-პლიმუთი | 1.90 | 1.70 |
| 12588 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.90 | 1.70 |
| 12589 | ფულემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12766 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1.90 | 1.70 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13205 | ჯენოა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13206 | ინტერი-სამპდორია | 1.90 | 1.70 |
| 13207 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 13209 | ლაციო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13210 | ნაპოლი-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13211 | პალერმო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13213 | პარმა-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 13214 | სიენა-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 13215 | კატანია-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13216 | ფიორენტინა-რომა | 1.60 | 2.00 |
| 13270 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.90 | 1.70 |
| 13272 | ოსასუნა-ლევანტე | 1.90 | 1.70 |
| 13273 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13274 | რასინგი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13275 | მურსია-ალმერია | 1.90 | 1.70 |
| 13276 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1.70 | 1.90 |
| 13277 | რეალი-ბეტისი | 1.90 | 1.70 |
| 13279 | ვალენსია-ხეტაფე | 1.90 | 1.70 |
| 13281 | სევილია-ესპანიოლი | 1.90 | 1.70 |
| 13283 | დეპორტივო-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13575 | არსენალი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13576 | ბლეკპული-საუთენდი | 1.70 | 1.90 |
| 13577 | ბარნლი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13578 | ლუტონი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13579 | სიტი-ნორვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13580 | რედინგი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13581 | შეფილდი-მორიკომბი | 1.70 | 1.90 |
| 13582 | ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 1.70 | 1.90 |
| 13583 | ჰალი-ჩელსი | 1.90 | 1.60 |
| 13584 | მანჩესტერი-ქოვენტრი | 2.00 | 1.45 |
| 13585 | უენსდი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13586 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |
| 13587 | ვესტ ჰემი-პლიმუთი | 1.90 | 1.70 |
| 13588 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.70 | 1.90 |
| 13589 | ფულემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13766 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14099 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.90 |
| 14100 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.75 | 2.10 |
| 14101 | ჰერტა-ჰანზა | 1.20 | 2.60 |
| 14102 | არმინია-ჰანოვერი | 1.75 | 2.10 |
| 14103 | აინტრახტი-კარლსრუე | 1.45 | 2.40 |
| 14104 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2.10 | 1.75 |
| 14105 | დუისბურგი-შალკე | 2.50 | 1.30 |
| 14107 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.20 | 2.60 |
| 14205 | ჯენოა-უდინეზე | 1.80 | 2.00 |
| 14206 | ინტერი-სამპდორია | 1.20 | 2.60 |
| 14209 | ლაციო-კალიარი | 1.45 | 2.40 |
| 14210 | ნაპოლი-ლივორნო | 1.45 | 2.40 |
| 14211 | პალერმო-მილანი | 2.00 | 1.80 |
| 14213 | პარმა-ტორინო | 1.80 | 2.00 |
| 14214 | სიენა-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 14215 | კატანია-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14216 | ფიორენტინა-რომა | 1.95 | 1.85 |
| 14270 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.08 | 2.90 |
| 14272 | ოსასუნა-ლევანტე | 1.45 | 2.40 |
| 14273 | ბილბაო-ატლეტიკო | 1.95 | 1.85 |
| 14274 | რასინგი-ვილიარეალი | 1.95 | 1.85 |
| 14275 | მურსია-ალმერია | 1.70 | 2.20 |
| 14276 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1.70 | 2.20 |
| 14279 | ვალენსია-ხეტაფე | 1.20 | 2.60 |
| 14281 | სევილია-ესპანიოლი | 1.20 | 2.60 |
| 14283 | დეპორტივო-უელვა | 1.70 | 2.20 |
| 14575 | არსენალი-ნიუკასლი | 1.45 | 2.40 |
| 14576 | ბლეკპული-საუთენდი | 1.45 | 2.40 |
| 14577 | ბარნლი-პორტსმუთი | 2.20 | 1.70 |
| 14578 | ლუტონი-ჩარლტონი | 2.10 | 1.75 |
| 14579 | სიტი-ნორვიჩი | 1.20 | 2.60 |
| 14580 | რედინგი-ლივერპული | 2.40 | 1.45 |
| 14581 | შეფილდი-მორიკომბი | 1.20 | 2.60 |
| 14582 | ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 1.45 | 2.40 |
| 14583 | ჰალი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14585 | უენსდი-ევერტონი | 2.40 | 1.45 |
| 14586 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.30 | 2.50 |
| 14587 | ვესტ ჰემი-პლიმუთი | 1.20 | 2.60 |
| 14588 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1.45 | 2.40 |
| 14589 | ფულემი-ბოლტონი | 1.70 | 2.20 |
| 14766 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1.20 | 2.60 |

# RUGBY WORLD CUP 2007

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

26 სექტემბერი. 20.00. ლანსი

### საქართველო — ნამიბია

# დავხედოთ ნამიბიას ზემოდან

## ჯიმშელაძისთვის მსოფლიო დასრულდა



AFP ლუმინიდან

მალხაზ ჭეიშვილი

| საქართველო | | ნამიბია |
|---|---|---|
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 15 | ჰეინი ბოკი |
| ირაკლი მაჩხანელი | 14 | რაიან ვიტბოი |
| დავით კაჭარავა | 13 | პიტ ფან ცილი |
| ირაკლი გიორგაძე | 12 | კორნე პაუელი |
| გიორგი შკინინი | 11 | ბრედლი ლენგხოვენი |
| მერაბ კვირიკაშვილი | 10 | ტერტიუს ლოსპერი |
| ირაკლი აბუსერიძე (კაპ) | 9 | ეუჯინ ჯანტისი |
| გიორგი ჩხაიძე | 8 | ტინუს დუ პლესისი |
| რატი ურუშაძე | 7 | ჟაკ ბურხერი |
| გია ლაბაძე | 6 | ჟაკ ნიუვენხუიზი |
| მამუკა გორგოძე | 5 | ჰეინო სენეკალი |
| ლევან დათუნაშვილი | 4 | ვაკა კაზომბიაზე |
| დავით ზირაქიშვილი | 3 | მარიუს ვიზერი |
| აქვსენტი გიორგაძე | 2 | უგო ჰორნი |
| გოდერძი შველიძე | 1 | ქიის ლენსინხი (კაპ) |
| სათადარიგოები | | |
| დავით ხინჩაგაშვილი | 16 | იონას მეიერი |
| ავთო კოპალიანი | 17 | ჯონი რედელინხუიზი |
| ვიქტორ დიდებულიძე | 18 | ჟან დუ ტოი |
| ბესიკ უდესიანი | 19 | ნიკო ესტერხუიზე |
| ბიძინა სამხარაძე | 20 | ჟური ფან ტონდერი |
| რევაზ გიგაური | 21 | მელრიკ აფრიკა |
| ბესიკ ხამაშურიძე | 22 | მორნე შროდერი |

ჩვენებს თავიდანვე აერიათ დავთრები. ირლანდიასთან მატჩში ტრავმირებულ და რაგბიდან უკვე წასულ ილია ზედგინიძეს უნივერსალი უკანახაზელი და ჩვენების მთავარი მექულე პალიკო ჯიმშელაძე მიჰყვა. მართალია, ჯიმშელაძეს კარიერა არ დაუსრულებია, მაგრამ არგენტინასთან ჯახში დაჭიმულმა საზარდულმა წლევანდელი მსოფლიოს თასი დაასრულებინა. ამ იძულებითი ცვლილებებისა და არგენტინა-ირლანდიასთან ნაომარი შემადგენლობების შემხედვარე ჩვენების სამწვრთნელო შტაბმა ნამიბიასთან რკენისთვის ორივე მატჩში ნაცადი შემადგენლობების ნაზავი შეარჩია. გუშინ „ლელოების" მთავარ მწვრთნელს მალხაზ ჭეიშვილს რომ შევეხმიანეთ, გვითხრა: „შემადგენლობა მეტოქის ტაქტიკის მიხედვით შევარჩიეთ. შერკინებაში რაც შეიძლება მეტი ტანმაღალი მორაგბე დავაყენეთ, რათა აუტებში უპირატესობა მოვიპოვოთ. ნამიბიას სწორედ ეს კოზირი აქვს, რადგან შერკინების სამივე ხაზში ლამის ორმეტრიანი მოთამაშეები ჰყავს. ამასთან ერთად, ხელდახელ შევუტევთ და ვფიქრობ, უნდა მოვიგოთ".

საბრძოლო 22-კაცა შემადგენლობა დაასახელა ნამიბიის მწვრთნელმა ჰაკის ჰუსელმანმაც და ამაზე უკეთესი გუნდი მას არც ჰყავს.

**ბაჩო სვანიძე**

# გინდათ მესამე მსოფლიო ომი?

## აუკრძალეთ ახალზელანდიელებს რაგბის თამაში

C ჯგუფი

23 სექტემბერი. ედინბურგი (შოტლანდია)

### შოტლანდია 0:40 ახალი ზელანდია

ახალი ზელანდია: მაკდონალდი, ჰაულეტი, სმიტი, მაკალისტერი, სივივატუ; კარტერი, კელეჰერი; სოოიალო, მაკქოუ (კაპ), მასო, უილიამსი, სორნი, ჰეიმანი, ოლივერი, ვუდკოკი

*სათადარიგოები:* ჰორი, ტიალატა, ჯეკი, ლაუაკი, ლეონარდი, ევანსი, ტოეავა

6 ლ: მაკქოუ, ჰაულეტი (2), კელეჰერი, უილიამსი, კარტერი; 2 ბ: კარტერი; 2 ს: კარტერი

შოტლანდია: საუთველი, უოლკერი, დი როლო, ჰენდერსონი, ვებსტერი; პატერსონი, კიუსტერი; ქალამი, ბარქლაი, ბრაუნი, მიურეი (კაპ), მაკლეოდი, სმიტი, ს. ლოუსონი, დიკინსონი

*სათადარიგოები:* ტომპსონი, კერი, ჰამილტონი, ჰოგი, რ. ლოუსონი, პარქსი, დოული

**როდესაც** მიხაელ შუმახერი სტარტზე დგას, მეორე ადგილი ჩემპიონობის ტოლფასია, რადგან „შუმის" გასწრება შეუძლებელია — ეს სიტყვები სამი წლის წინ ფორმულა I-ის ერთ ოფიციალურ ვებგვერდზე დაიწერა.

და რა შუაშია აქ შუმახერი? თითქოს არაფერში, მაგრამ ახალ ზელანდიასთან განადგურების შემდეგ შოტლანდიის მთავარმა მწვრთნელმა ფრენკ ჰადენმა ეს თქვა: „როდესაც ახალ ზელანდიასთან თამაშობ, თავის შეკვლა უაზრობაა, ყველა ვარიანტში „ოლ ბლექსი" გადაგთელავს. ჯობს ძალები დაზოგო და მომდევნო მატჩზე იფიქრო."

ჰადენივით ეგებ ბევრი ფიქრობდეს, ბევრს ეშინოდეს ზემძლავრი „ოლ ბლექსის", მაგრამ საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია წინასწარ რომ არ დანებდებიან, ფაქტია.

დანებებით კი ჰადენი მატჩამდე დანებდა ახალ ზელანდიას. თანაც სად? ედინბურგში, სკოტების მთავარ სარაგბო სარბიელზე. შოტლანდია სათადარიგოებით ერაგბა „ოლ ბლექს", რადგან ძირითადი რაზმი დაასვენა იტალიასთან პლეი ოფის მეორე საგზურის ჯახისთვის შემოინახა.

ედინბურგის 40-ათასიანი სტადიონი პირამდე შევსო, მაგრამ ვერც საკუთარი ქომაგის ყიჟინამ გააცოცხლა სათადარიგო შოტლანდიელები. მათ „მამაცი გულობის" არაფერი ეტყობოდათ. ან როგორ დაეტყობოდათ, როდესაც ჰადენისა არ იყოს, ზელანდიელები გზად ყველას და ყველაფერს გლეჯდნენ. ერთი საინტერესო სტატისტიკაც: წლევანდელ მსოფლიოს თასზე „ოლ ბლექსმა" სამ მატჩში 33 ლელო დასეტყვა მეტოქეებს, ანუ მატჩში საშუალოდ 11 ლელო გაიტანა. ამას დაუმატეთ ზელანდიელთა უნივერსალი უკანახაზელების ფეხჩუბინობა და ძნელი გამოსაცნობი არაა, რა შავ დღეში ჰყავთ „შავებს" მეტოქეები. პარადოქსია, მაგრამ „ოლ ბლექსის" მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ მანამდე დაიჩივლა, ჩემი ბიჭები გულჩვილები არიან და მეტოქეებს ინდობენო. ამჯერად ახალმა ზელანდიამ მართლაც დაინდო შოტლანდია, მხოლოდ ექვსი ლელო აკმარა, თავისი საქმე კი ათიანზე გააკეთა — ლალი და დაულალავი რაგბობით პრემიალური ქულაც ჩაიწერა.

„ახალი ზელანდია მანქანაა, რომელიც ლელოებს ფქვავს. თუ მისი შეჩერება გინდა, მაშინ ამ კუნძულზე რაგბის თამაში უნდა აკრძალო, რაც მსოფლიო ომს გამოიწვევს" — ეს სიტყვები ტომით ახალზელანდიელმა, ახლა კი შოტლანდიის სათადარიგო გამთამაშებელმა სკოტ პარქსმა ნამატჩევს თქვა.

ამ ცალკარა მატჩსაც ჰყავდა თავისი გმირი — ეს „ოლ ბლექსის" 29 წლის მელელოვე დაგ ჰაულეტი. მან ორჯერ დაალელოვა „მამაცი გულები" და სანაკრებო 48 ლელოთი დაისაკუთრა ეროვნული რეკორდი, რომელიც აქამდე 46-ლელოიან კრისტიან ქალენს ეკუთვნოდა.

**ბაჩო სვანიძე**




AFP

# ვინ არის ჰაულეტზე მეტი?

**ახალი** ზელანდიის 29 წლის გარემარბი დაგ ჰაულეტი „ოლ ბლექსის" და ზოგადად მსოფლიო რაგბის ისტორიაში მართლაც გამორჩეული მელელოვეა. გუშინწინ მან შოტლანდიას ორი ლელო გაუტანა და „ოლ ბლექსის" ყველა დროის საუკეთესო მელელოვის პრესტიჟული წოდება ჩამოართვა კრისტიან ქალენს. ამასთან სამოური წარმოშობის ახალზელანდიელმა სუპერმორაგბემ ყველა დროის ყველაზე წარმატებულ მელელოვეთა სიაში მესამე ადგილი დაიკავა ავსტრალიელი დევიდ ქემფიზის და ინგლისელი რორი ანდერვუდის ზურგსუკან. ჰაულეტი ალბათ უკვე მომდევნო შეხვედრაში გაუტოლდება ანდერვუდს და იქნებ გადაასწროს კიდეც, მაგრამ რაც შეეხება პირველობას, ის ვერ შესწვდება ლეგენდარული ავსტრალიელი გარემარბის დევიდ ქემფიზის რეკორდს.

ჰაულეტს იქნებ მისცემოდა ქემფიზის დაწევის შანსი, მაგრამ ის არც ისე ხშირად თამაშობს „ოლ ბლექსის" ძირითად თხუთმეტში, რადგან ახალზელანდიელებს, როგორც ყოველთვის, ახლაც საკმარისზე მეტი გარემარბი-ვარსკვლავი ჰყავთ და მწვრთნელი გრემ ჰენრი მათ რიგრიგობით ათამაშებს.

გარდა ამისა, ჰაულეტს გადაწყვეტილი აქვს, ამ მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებში თამაში დაამთავროს და ევროპულ კლუბში გადავიდეს. ასე რომ, ქემფიზს და მის 64 ლელოს უახლოეს ერთი-ორ წელიწადში საფრთხე არ ემუქრება.

და მაინც, თუ ოდესმე ვინმე შეუყენებს წყალს ავსტრალიელის შედეგს, ეს ალბათ ისევ ახალზელანდიელი იქნება. 24 წლის ჯო როკოკო მხოლოდ მეხუთე წელია, „ოლ ბლექსში" თამაშობს და 46 მატჩში 40 ლელოს შეგროვება მოასწრო. „დიდებში" კი, თვალდაც ხედავთ, ასეთი ნაყოფიერი არავინ ჩანს.

რაც შეეხება მსოფლიოს თასზე გატანილ ლელოებს, აქ ჰაულეტი თავისი 12 ლელოთი მხოლოდ 15 ლელოიან ჯონა ლომუს ჩამორჩება.

**ძოტე ყორშია**

## 30-ლელოიანები

| | | თამ | ლელ |
|---|---|---|---|
| 1 | დევიდ ქემფიზი (ავსტრალია) | 101 | 64 |
| 2 | რორი ანდერვუდი (ინგლისი) | 85 | 49 |
| 3 | დაგ ჰაულეტი (ახალი ზელანდია) | 61 | 48 |
| 4 | კრისტიან ქალენი (ახალი ზელანდია) | 58 | 46 |
| 5 | ჯეფ უილსონი (ახალი ზელანდია) | 60 | 44 |
| 6 | ჯო როკოკოკო (ახალი ზელანდია) | 46 | 40 |
| 7 | კრის ლათამი (ავსტრალია) | 76 | 39 |
| 8 | იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (სამხ. აფრიკა) | 89 | 38 |
| 9 | სერჟ ბლანკო (საფრანგეთი) | 93 | 38 |
| 10 | ჯონა ლომუ (ახალი ზელანდია) | 63 | 37 |
| 11 | ტანა უმაგა (ახალი ზელანდია) | 74 | 36 |
| 12 | ჯონ ქირვანი (ახალი ზელანდია) | 63 | 35 |
| 13 | შეინ უილიამსი (უელსი) | 50 | 34 |
| 14 | იუან ევანსი (უელსი) | 72 | 33 |
| 15 | ფილიპ სანტ-ანდრე (საფრანგეთი) | 69 | 32 |
| 16 | უილ გრინვუდი (ინგლისი) | 55 | 31 |
| 17 | ბრაიან ლიმა (სამოა) | 65 | 31 |
| 18 | ბენ კოენი (ინგლისი) | 57 | 30 |
| 19 | ჯერემი გასკოთი (ინგლისი) | 65 | 30 |
| 20 | ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია) | 78 | 30 |
| 21 | ტიმ ჰორანი (ავსტრალია) | 80 | 30 |
| 22 | ფილიპ სელა (საფრანგეთი) | 111 | 30 |

B ჯგუფი. დღეს. 20.00 ბორდო

### კანადა — იაპონია

B ჯგუფი

C ჯგუფი. დღეს. 22.00 ტულუზი

### რუმინეთი — პორტუგალია

## საქართველოს მე-18 ჩემპიონატი. კაცები



# ეროვნულს ოთხეული იწყებს

**დღეს** ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი იწყება. წინა წლებთან შედარებით, ეს ლამის სარეკორდოდ ადრეული სტარტი კია, თუმც ყოველმხრივ გამართლებული, უპირველესად იმიტომ, რომ ერთ თვეში საქართველოს ნაკრებს საევროპო „ჩელენჯ ტროფის" ოთხგუნდა ჯგუფურ ტურნირში გამოსვლა ელის და ეროვნული თამაშები ნაკრების კანდიდატთა შემოწმების საუკეთესო, თანაც უფულობის გამო, ერთადერთი საშუალებაა.

მართალია, მე-18 ეროვნულში მონაწილეთა შორის „ქუთაისი" გამოჩნდა, მაგრამ გუნდების რაოდენობა წინა სეზონთან შედარებით, შემცირდა, რადგან „იმედი" და „ქარიშხალა" მოგვაკლდა.

იმედელთა არყოფნა მისალებ-გასაგებია, ხუთი წამყვანი ხელბურთელი მთავარ გუნდში — „თბილისში" გადაიყვანეს, რადგან კლუბს წამყვანი ოთხეული — ლევან ოსიყმაშვილი, გაგა სეთურიძე, შოთა გრიშიკაშვილი, გიორგი ნატროშვილი — მოაკლდა. ისინი კარიერას თურქეთში გააგრძელებენ.

უფრო გულსატკენია „ქარიშხალას", თუმც იმედია, დროებითი მოკვეთა. ამბობენ, მიზეზი სასწავლო და, შესაბამისად, საწვრთნელი პროცესის გვიან დაწყებააო. საქართველოს ხელბურთის ფედერაცია ამ მიზეზის გათვალისწინებით, თანახმაა, მეორე წრიდან „ქარიშხალა" ჩემპიონატში დაუშვას.

ჩემპიონატი შერეული სისტემით ჩაივლის, ორი ორწრიული ტურის შემდეგ გაზაფხულზე მიმოსვლით გაგრძელდება და პლეი ოფით ჩამთავრდება.

**გია ახალაძე**

### პირველი წრის კალენდარი

25 სექტემბერი
13.00 სტუ-თელავი — მამული
14.30 თბილისი — ქუთაისი
26 სექტემბერი
13.00 ქუთაისი — სტუ-თელავი
14.30 მამული — თბილისი
27 სექტემბერი
13.00 მამული — ქუთაისი
14.30 სტუ-თელავი — თბილისი

| | სახელი, გვარი | ასაკი | სიმ. | წონა |
|---|---|---|---|---|
| | **სტუ-შევარდენი-თელავი** | | | |
| 1 | შოთა თევზაძე | 26 | 200 | 110 |
| 2 | გაჭა სამყურაშვილი | 19 | 192 | 90 |
| 3 | გიგა ტორონჯაძე | 18 | 193 | 84 |
| 4 | გიორგი ქობელაშვილი | 30 | 185 | 90 |
| 5 | ილია გოგალაძე | 21 | 189 | 85 |
| 6 | აკაკი ტალახაძე | 23 | 190 | 86 |
| 7 | გიორგი კობახიძე | 25 | 195 | 97 |
| 8 | დავით ნიკოლაიშვილი | 29 | 188 | 96 |
| 9 | ლევან ბერძენიშვილი | 21 | 193 | 95 |
| 10 | მამია კობახიძე | 25 | 198 | 97 |
| 11 | ირაკლი ჩიქოვანი | 18 | 196 | 93 |
| 12 | გიორგი ჩიქოვანი | 19 | 200 | 98 |
| 13 | ომარ ყიფიანი | 32 | 198 | 105 |
| 14 | ამირან ყიფიანი | 22 | 186 | 85 |
| 15 | გიორგი ზაალიშვილი | 20 | 197 | 96 |
| 16 | ზურიკო მელქოშვილი | 19 | 195 | 89 |
| 17 | ირაკლი სხიერელი | 23 | 189 | 86 |
| 18 | დავით საჯაია | 19 | 196 | 85 |
| | მთავარი მწვრთნელი: ირაკლი კეკელიძე | | | |
| | **თბილისი** | | | |
| 1 | კორნელი ანდრიაძე | 23 | 180 | 90 |
| 2 | ალექსანდრე გონჩაროვი | 22 | 198 | 90 |
| 3 | დავით ფორაქიშვილი | 26 | 190 | 95 |
| 4 | უჩა მაისურაძე | 21 | 188 | 85 |
| 5 | ომარ ქუთათელაძე | 21 | 191 | 80 |
| 6 | ირაკლი ქირია | 21 | 178 | 75 |
| 7 | ივანე ქარდავა | 18 | 183 | 72 |
| 8 | ირაკლი ტორონჯაძე | 20 | 180 | 70 |
| 9 | ავთანდილ ჟღენტი | 19 | 185 | 78 |
| 10 | გიორგი ნივნივაძე | 25 | 190 | 90 |
| 11 | ირაკლი ღლონტი | 25 | 196 | 98 |
| 12 | ლევან გელაშვილი | 32 | 190 | 88 |
| 13 | ლაშა სამარლანიშვილი | 23 | 192 | 86 |
| 14 | აკაკი ყაველაშვილი | 20 | 200 | 102 |
| | მთავარი მწვრთნელი: მამუკა მჟავანაძე | | | |

| | სახელი, გვარი | ასაკი | სიმ. | წონა |
|---|---|---|---|---|
| | **სსსსუ-მამული** | | | |
| 1 | ალექსანდრე ხონელიძე | 22 | 190 | 80 |
| 2 | რევაზ გველესიანი | 20 | 180 | 75 |
| 3 | მიხეილ ქუთათელაძე | 19 | 182 | 75 |
| 4 | ლევან კერესელიძე | 17 | 177 | 76 |
| 5 | რამაზ შონია | 22 | 190 | 85 |
| 6 | დავით თეთრუაშვილი | 17 | 185 | 76 |
| 7 | შალვა დორეული | 20 | 192 | 80 |
| 8 | ალექსანდრე ვახანია | 19 | 185 | 80 |
| 9 | იოსებ ბიდოდაშვილი | 17 | 180 | 74 |
| 10 | ამირან ბესტავაშვილი | 17 | 192 | 80 |
| 11 | ირაკლი გელაშვილი | 22 | 185 | 88 |
| 12 | ლევან დორეული | 17 | 196 | 85 |
| 13 | ლაშა მოციქულაშვილი | 33 | 185 | 75 |
| 14 | ზვიად შათირიშვილი | 36 | 193 | 85 |
| 15 | ირაკლი კვერნაძე | 17 | 193 | 84 |
| | მთავარი მწვრთნელი: რევაზ ჭანტურია | | | |
| | **ქუთაისი** | | | |
| 1 | ბექა ნიქაბაძე | 22 | 176 | 86 |
| 2 | დავით შიშინაშვილი | 17 | 172 | 81 |
| 3 | გიორგი ჯავახაძე | 18 | 182 | 78 |
| 4 | კონსტანტინე ჯანაშია | 17 | 199 | 90 |
| 5 | გიორგი ადამია | 16 | 185 | 87 |
| 6 | დავით თათვიძე | 22 | 183 | 76 |
| 7 | გიორგი ჩხეიძე | 21 | 184 | 80 |
| 8 | ივანე დოლაკიძე | 21 | 183 | 82 |
| 9 | გიორგი ტულუში | 18 | 184 | 81 |
| 10 | ბექა სიხარულიძე | 18 | 178 | 78 |
| 11 | ირაკლი მაღლაკელიძე | 18 | 182 | 73 |
| 12 | ანზორ თუთბერიძე | 16 | 170 | 71 |
| 13 | გიორგი ნიკურაძე | 17 | 176 | 75 |
| 14 | დავით კიზირია | 21 | 182 | 83 |
| 15 | გიორგი დოლიძე | 17 | 176 | 67 |
| | მთავარი მწვრთნელი: გრიგოლ თავხელიძე | | | |



# ცინცაძემ როკი ხუთიანზე [illegible]



სანაკრებო ნარუმატებლობის შემდეგ ჩვენი ეროვნული გუნდის ნევრებმა თავიანთ კლუბებს მიაშურეს და დამდეგი სეზონისთვის დაიწყეს სამზადისი. არაერთი ახალ კლუბში მივიდა, ზოგიც ძველ ნავთსაყუდელში დაბრუნდა — გიორგი ცინცაძემ ესტონურ „როკთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. კლუბი მისი თამაშით კმაყოფილი იყო და ქართველ გამთამაშებელს უკეთესი პირობები შესთავაზა. ცინცაძე 1 კვირის წინ ჩავიდა ტარტუში და ამხანაგური ტურნირის თამაშიც მოაწრო. მას გუშინ ესტონეთში დავუკავშირდით...

— ერთი კვირაა, ტარტუში ჩამოვედი და ახალი სეზონისთვის სამზადისს შევუდექი. ჩვენმა კლუბმა ამხანაგურ ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც ჩვენს გარდა ლატვიური, ფინური და ესტონური გუნდები მონაწილეობდნენ.

**— როგორ დაგხვდნენ გუნდის ხელმძღვანელები?**

— ჩვეულებრივ. მე ხომ აქ გასულ სეზონშიც ვთამაშობდი და რამე განსაკუთრებული შეხვედრა არ მოუწყვიათ. ეგაა, გულისტკივილი გამოთქვეს საქართველოს ნაკრების წარუმატებლობის გამო. ძალიან გვეწყინა, A დივიზიონში გადასვლა რომ ვერ შეძელითო.

**— რა სიტუაცია დაგხვდა გუნდში. გყავთ ახალწვეულები?**

— 4 ახალი მოთამაშე შეგვემატა. ერთი ამერიკელი, ერთი ლიტველი და ორიც ესტონელი. რაც მთავარია, მწვრთნელი შეგვეცვალა. მართალია, ჯერ კარგად არ გამიცვნია ახალი თავკაცი, მაგრამ უწინდელს ყველა ვარიანტში მირჩევნია. უსამართლოდ მექცეოდა, ხუთეულიდან უმიზეზოდ ამომაგდო და სანამ ამის გამო პრესამ არ გააკრიტიკა, ძირითადში არ დამაბრუნა. ახალ მწვრთნელთან ჯერ მხოლოდ 5-ჯერ ვივარჯიშე, დანარჩენი თამაშებზე შევხვდი.

**— წარმატებით ითამაშეთ ამხანაგურ ტურნირზე?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჯერ შეუთამაშებლები ვართ, ყველა მატჩი მოვიგეთ. როცა ოპტიმალურ ფორმაში შევალთ, გაცილებით ძლიერ გუნდებსაც გავუწევთ მეტოქეობას.

**— საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

— პირველი მატჩში გამორჩეულად დამამახსოვრდა, რადგან 10 პასი გავაკეთე. მეორეში 10 ქულა და 4 პასი მქონდა. ყველაზე პასიური ბოლო შეხვედრაში ვიყავი, თუმც ამაზე სულაც არ ვდარდობ. ეს მოსამზადებელი ტურნირია და კიდევ ბევრს მოვუმატებთ.

**— ხუთეულში ითამაშე?**

— ჰო, სამჯერვე დამწყებთა შორის ვიყავი.

**— ანუ ძირითადში ადგილი დაბევებული გაქვს?**

— ალბათ ასე იქნება. ჩემი უწინდელი კონკურენტი, რომელმაც ერთი ხანობა ძირითადში ადგილი წამართვა, გუნდიდან გაუშვეს. „როკს" ჩემს გარდა კიდევ ერთი გამთამაშებელი ჰყავს, ახალგაზრდა ესტონელი ბიჭი, რომელიც გასულ სეზონშიც იყო გუნდში.

**— რას ფიქრობ, ახლა უფრო ძლიერია „როკი"?**

— ჩემი აზრით, ცოტა დავსუსტდით, მაგრამ ესეც საკმარისი იქნება, ჩემპიონობის შესანარჩუნებლად რომ ვიბრძოლოდ. ამ სეზონში ასევე ვითამაშებთ ბალტიის ლიგასა და ფიბა-ევროპის თასზე. გარკვეული ამბიცია ყველა ტურნირში გვექნება, მაგრამ საბოლოოდ რა გამოგვივა, ძნელი სათქმელია.

**ირაკლი პერტაია**

# ბოისას 13

**„სპარტაკ-პრიმორიეში"** გადაბარგებულ ვლადიმერ ბოისას მოსვენება არა აქვს. მისი გუნდი ესპანეთშია შეკრებაზე და თამაშს თამაშზე მართავს. ამჯერად ვლადივოსტოკელები პრიმერადივიზიონელ „მურსიას" შეხვდნენ და 75:84 დამარცხდნენ.

პრიმორიელებმა წინა მატჩში ესპანური გრანდი „უნიკახა" დაჯაბნეს და, ცხადია, საშუალო „მურსიასაც" შემუსვრას უპირებდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ამ გუნდმა ახლახან შეიმატა ნბა-ში ჭიპმოჭრილი კალათბურთელები — ინდიანელი ჯიმი ჰანტერი და მილუოკელი ჯარედ რეინერი. ვლადივოსტოკელებმაც ვერაფერი მოუხერხეს მურსიელებს.

ბოისამ „უნიკახასთან" ძალიან ცოტა ითამაშა და ქულა არ ჩაუგდია, თუმც „მურსიასთან" მას მწვრთნელი ბოლომდე ენდო და ვოვამაც თავი არ შეირცხვინა — 13 ქულით ის თავისიანთაგან მხოლოდ ჯეიარ ბრემერსა და ალექსანდრ ფომინს ჩამორჩა, რომლებსაც 15-15 ქულა დაუგროვდათ.

**ირაკლი პერტაია**

ცხენოსნობა

# ავმხედრდეთ!

## არა მხოლოდ ცხენზე. ცხენისა გამო



**21-23 სექტემბერს** სამტრედიის იპოდრომზე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ცხენოსნობაში. ვიდრე ტურნირის პერიპეტიებსა და გამარჯვებულ-დამარცხებულებზე გეტყოდეთ, ჯერ იმ მკითხველის ყურადღება მინდა მივიპყრო, ვისთვისაც ქართული ცხენოსნობის ავ-კარგი უცხო არ არის; ცხადია, იმ ადამიანებისაც, ვისაც ამ საქმეზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, მაგრამ ჩვენს კულტურასა და ეთნოსზე გული შესტკივათ.

პოსტკომუნისტურ საქართველოში ეკონომიკურმა გაჭირვებამ ბევრი სპორტის სახეობა შეიწირა, ბევრიც ცალკეულ პირთა თუ ორგანიზაციათა ჯიბეზეა ჩამოკიდებული და მათი მეოხებითღა ფეთქავს.

გადაჭარბებული პათოსის ასარიდებლად (პათოსი და ემოციები კი ცხენიანი წინაპრების გახსენებამ იცის) უბრალოდ ვიტყვი ისედაც ცნობილ ამბავს — ცხენოსნობას საქართველოს ისტორიაში უდიდესი ადგილი ეკავა და ახლა ისე სჭირდება მოვლა და გაფრთხილება, როგორც ჩვენს ეთნოფენომენს.

ამხელა შესავალი იმიტომ, რომ ცხენოსანთა ჩემპიონატი [illegible] სახარბიელო [illegible]. სულ [illegible] სპორტული კლუბი მონაწილეობდა. ტრადიციულად, ჩვენი ქვეყნის დასავლეთში ამ მადლიან მამაპაპურ სახეობას უამრავი მიმდევარი ჰყავს და ახლაც მხოლოდ დასავლელები გაეჯიბრნენ ერთმანეთს ცხენბურთში, ისინდში, დოღსა და მარულაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში 80 ქულით გაიმარჯვეს ფოთელებმა, რომელთაც ცხენბურთში, დოღსა და მარულაში აჯობეს მეზობელ-მეტოქეებს. ისინდში პირველები სამტრედიელები იყვნენ და 66 ქულით მეორე ადგილზეც გავიდნენ. აბაშელებს 60 ქულით მესამე ადგილი შეხვდათ, ხოლო გურიამ 41 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა.

ჩემპიონატი შპს „ჟოკეი კლუბის“ თაოსნობით ჩატარდა და ამ ორგანიზაციამ მონაწილეთაგან დიდი მადლობაც დაიმსახურა ქართული ცხენოსნობის შეძლებისდაგვარად პატრონობისთვის.

არადა, წელგამართულ ევროპულ ქვეყნებში სპორტის ეროვნულ სახეობებზე არა ერთი და ორნი, არამედ მთელი ქვეყანა ზრუნავს და არც პოპულარობაა დეფიციტი. იცოცხლეთ, ჩვენთვისაც უპრიანი იქნებოდა, რომ მომაკვდავის გულზე კი არ გვედოს ყური, არამედ ცოცხალი და ჯანმრთელი ორგანიზმის ყურებით ვტკბებოდეთ ყოველდღე.

**ზურაბ მიგრიაული**

ველორბოლა

## ვუელტა-2007
### ესპანეთი. 1-23 სექტემბერი

# მეორე და სამართალი

## დენის მენშოვმა ვუელტა ახლა მართლა მოიგო



**23 სექტემბერს** ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში შეგორდა 180 მრბოლისგან შეგუბებული პელეტონი და ასე დასრულდა წლის მესამე და უკანასკნელი დიდი ველოტური ვუელტა.

21-ე და უკანასკნელ ეტაპზე გამარჯვებისთვის დიდი გაწევ-გამოწევა არ გამართულა. „ვუელტას“ ჩემპიონი ტრადიციულად წინა ეტაპზე გაირკვა. გუნდ „რაბობანკის“ რუსი მრბოლი დენის მენშოვი კარგა ხნით ადრე ჩაუდგა სათავეში. პამპლონაში მცხოვრები რუსი თავიდანვე ყოჩაღად შეუყვა პირინეის მთიანეთის ფერდობებს, როგიანად იარა როგორც მთიან, ისე კომბინაციურ ეტაპებზე და სამკვირიან ტურნირს მთელი ორი კვირა ლიდერობდა. მაგრამ მას არასდროს გამოუხატავს თვითკმაყოფილება და სიხარული. ბოლოსწინა ეტაპამდე ის გაუცინარი ატრიალებდა პედლებს და მიგორავდა კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებისკენ.

მან ჩემპიონობა 22 სექტემბერს, ბოლოსწინა ეტაპზე, 20-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლის შემდეგ გაინაღდა, როცა მხოლოდ სამუელ სანჩესს ჩამორჩა, ისიც უმნიშვნელოდ და მეორე დღეს ვუელტას ორგზის ჩემპიონის რანგში შეგორდა ესპანეთის დედაქალაქში. პირველად მას ესპანური ველოტურის ჩემპიონობა 2005 წელს ერგო, როცა იმ ვუელტას გამარჯვებული, ესპანელი რობერტო ერასი დოპინგზე ჩავარდა და ტიტული ჩამოერთვა.

„ეს უდიდესი გამარჯვებაა ჩემს კარიერაში — ამბობს მენშოვი — რა თქმა უნდა, ორი წლის წინათაც გამიხარდა ჩემპინობა, მაგრამ ახლა მართლა სულ სხვა გრძნობამ და სიხარულმა შემიპყრო.“

**კოტე ყორშია**

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | 80 სთ 59 წთ 7 წმ |
| 2 კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3 წთ 31 წმ |
| 3 სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკატელი) | +3 წთ 46 წმ |
| 4 კადელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო) | +3 წთ 56 წმ |
| 5 ეზეკილ მოსკუერა (ესპანეთი, კარპინ გალისია) | +6 წთ 34 წმ |

ჭადრაკი

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### 12-30 სექტემბერი. მეხიკო. მექსიკა

| IX ტური | | |
|---|---|---|
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 1:0 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

# ანანდის ჰამაც-ჰამაც ტური

**მსოფლიოს** მოქმედმა ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა ჩემპიონატზე პირველი თამაში წააგო და საქმე კიდევ უფრო გაირთულა. ახლა მას 4,5 ქულა აქვს და ლიდერ ანანდს 1,5 ქულით ჩამორჩება.

კრამნიკი მისმა თანამემამულე ალექსანდ მოროზევიჩმა დაამწუხრა. მანამდე მოროზევიჩი სამი წაგებით ბოლო ადგილზე იყო და ვლადიმირთან მის მოგებას ბევრიც არავინ ელოდა.

ალექსანდრემ ნაკლებად ცნობილი დებიუტით, ც4-ით დაიწყო შეხვედრა, ბრძოლის ველზე პაიკები გაუშვა და იერიშზე გადავიდა. კრამნიკი აქტიურად ჩაერთო თამაშში, ლაზიერის ფლანგიდან მხედარ-ეტლით დაარტყა თეთრებს და დაწყობილი ჯარი აუშალა. მოროზევიჩმა გაცვლებს მიმართა, მსოფლიოს ჩემპიონს დასახული გეგმები ჩაუშალა და უპირატესობას დაეუფლა. კრამნიკი დ ხაზზე მდგარი პაიკის გაყვანას შეეცადა, თუმც თეთრმა კუმ გზა გადაუღობა და 48-ე სვლაზე ალამიც დააშვებინა.

წააგო ანანდის კიდევ ერთმა კონკურენტმა ბორის გელფანდმა. ებრაელმა ალექსანდრ გრიშჩუკს დაუთმო ქულა და ლიდერთან სხვაობა ერთ ქულამდე გაზარდა.



დამარცხებული ბორის გელფანდი

თვითონ ანანდს კი ბევრი არ უწვალია, ლევონ არონიანს მე-20 სვლაზე დაუზავდა და ექვსი ქულით კვლავაც ერთპიროვნული ლიდერია.

**ლუბა გეგეჭკორი**

| სატურნირო ვითარება | |
|---|---|
| 1. ვიშვანათან ანანდი | 6,0 |
| 2. ბორის გელფანდი | 5,0 |
| 3. ვლადიმირ კრამნიკი | 4,5 |
| 4. პეტერ ლეკო | 4,5 |
| 5. ალექსანდრ გრიშჩუკი | 4,5 |
| 6. ლევონ არონიანი | 4,0 |
| 7. ალექსანდრ მოროზევიჩი | 4,0 |
| 8. პიოტრ სვიდლერი | 3,5 |

# კვალიფიცირებული 13 ქართველი




**დღეს** ბათუმის კორტებზე ტრადიციული „ლედის ოუფენი" იწყება. რიგით მეთერთმეტე ტურნირის ძირითადი ბადე ისე შეივსო, მასში მოსახვედრად რეიტინგი არც ერთ ქართველს არ ეყო. ოქსანა კალაშნიკოვას, ეკატერინე გორგოძეს და სოფო ქვაცაბაიას ორგანიზატორებმა ეგრეთ წოდებული ველური ბარათები მისცეს, ცამეტ მასპინძლეს კი საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოუხდა ძირითად ბადეში გადასასვლელად ბრძოლა.

წესით, საკვალიფიკაციო შეხვედრები ორ დღეში უნდა ჩატეულიყო და ასეც იქნებოდა, გუშინ ნაშუადღევს წვიმა რომ არ დაწყებულიყო. თამაშები ოთხ კორტზე გახურდა. ყველაზე საინტერესო ბრძოლა კი ბორჯომის თასის ჩემპიონმა თათია მიქაძემ და ამავე ტურნირის ნახევარფინალისტმა სოფო შაფათავამ გაჩაღეს. პირველი წრე ორივემ ისე იოლად გაიარა, ერთმანეთს რომ არ გადაჰყროდნენ, ალბათ, ძირითადში გაღწევდნენ. წვიმამდე ქართველებმა ერთი სეტის ჩათამაშება მოასწრეს და იგი შაფათავამ 6:4 მოიგო.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა, სერბმა ვლადიმერ ერგმა, თამაშები ხუთ საათამდე გაგადო. იქამდე ორ საათზე მეტი იყო დარჩენილი და ჩოგბურთელების ნაწილმა, მალე გამოდარების იმედით, კორტების კაფეებს შეაფარა თავი, ნაწილმაც პირდაპირ სახლებს მიაშურა. არც შემცდარან, ცა პირის მოკვრას აშკარად არ აპირებდა.

კორტებს გაეცალა ბორჯომის თასის ფინალისტი თინათინ ყავლაშვილიც. მას ძირითადი ბადის საქმე უკვე სათავისოდ ჰქონდა მოგვარებული. საკვალიფიკაციოს ორივე თამაში მან სეტწაუგებლად ჩაამთავრა, თან ისე, რომ პატარა წინააღმდეგობაც არ შეხვედრია.

კვალიფიკაციის გადასალახად ერთი ნაბიჯი აკლია ანა ჯიქიასაც. პირველ წრეში მან მარიამ ქურდაძეს აჯობა და გუშინ რომ გამოედარა, ბელარუს ალექსანდრა მალიარჩიკოვას უნდა დაპირისპირებოდა.

ძირითადში ადგილი გაინაღდეს რუსმა ავგუსტა ციბიჩევამ, ბელარუსმა იმა ბოჭუშმა და უკრაინელმა ლესია ტურენკომ.

გუშინვე ნაშუადღევს ორგანიზატორებმა წინასატურნირო პრესკონფერენცია მოაწყვეს. ჟურნალისტებს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი, მისი აჭარელი კოლეგა ედნარ დიასამიძე, ტურნირის სპონსორი, ბათუმის [illegible] გენერალური დირექტორი მორგენს ჰენსენი და აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ასათიანი შეხვდნენ.

„ბათუმის ტურნირს წლების წინ გაცილებით მაღალი საპრიზო ფონდი ჰქონდა ოცდახუთი ათასამდე დაწევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ქართველმა გოგონებმა მეტად შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების წარმოჩენა. ისინი საკმაოდ კარგ ფორმაში არიან და იმედია, „ლედის ოუფენზე" წარმატებულად ითამაშებენ. თუკი ასე მოხდა, შესაძლოა, მომავალ წელს საპრიზო ფონდს ისევ აიწიოს. ისე კი, წლეულს მართლა სერიოზულმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. პირველ ნომრად განთესილი სერბი ვოდისლავა ლეუკინი მსოფლიო რეიტინგის ორასეულში შედის" — განაცხადა ლეილა მესხმა.

მეთერთმეტე „ლედის ოუფენზე" სულ ჩვიდმეტი ქვეყნის ჩოგბურთელი გავა კორტზე. თუ ამინდმა ისევ არ იჭირვეულა, დილით ალბათ საკვალიფიკაციო ბადე დაიხურება. მერე კი ძირითადი შეხვედრებიც დაიწყება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## დევისის თასი. ნახევარფინალი. 20 - 22 სექტემბერი

**შვედეთი 1:4 აშშ**

ბოზ ბრაიანი-მაიკ ბრაიანი — სიმონ ასპელინი-იონას ბიორკმანი 7:6 6:2 6:3
ენდი როდიკი — იონას ბიორკმანი 6:2 7:6 6:4
ჯეიმს ბლეიკი — სიმონ ასპელინი 6:1 6:3

**რუსეთი 3:2 გერმანია**

ფილიპ პეცშნერი-ალექსანდერ ვასკე — დმიტრი ტურსუნოვი-მიხაილ იუჟნი 6:3 3:6 7:6 7:6
მიხაილ იუჟნი — ფილიპ პეცშნერი 6:4 6:4 3:6 6:3
იგორ ანდრეევი — ფილიპ კოლშრაიბერი 6:3 3:6 6:0 6:3

# აშშ და ა.შ. თუ რუსეთი?
## ბრუნდება ძველი დროც და ბრძოლებიც

**ამ** უქმეებზე დევისის თასის ფინალისტების ვინაობა გაირკვა და წესით, 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე დაძაბული ჩოგნაობა უნდა ვნახოთ, რადგანაც ერთმანეთს ორი დიდი საჩოგბურთო სკოლის — აშშ-ს და რუსეთის — ნაკრებები დაეტაკებიან. ზედიზედ მეორე წელია, ისინი ასეთ უმაღლეს დონეზე არკვევენ ურთიერთობებს — შარშან ისინი ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ახლა ფინალში არიან.

ფინალისკენ გზა იანკებმა გაცილებით იოლად გაიკვალეს. მათი წარმატების შემოქმედებად ისევ ენდი როდიკი და ტყუპი ძმები ბრაიანები იქცნენ. ენდი-ბოიმ თავისი ორივე შეხვედრა მოიგო ერთეულთა თანრიგში, ბობ და მაიკ ბრაიანებმა კი აგერ უკვე მერამდენედ დაამტკიცეს, რომ წყვილებში მსოფლიოში უძლიერესნი არიან. ამიტომაც ჯეიმს ბლეიკს იოაკიმ იოჰანსონთან სრულიად აუღელვებლად შეეძლო თამაში, რადგანაც საფინალო საგზური ამერიკელებმა მის დაუხმარებლადაც გაინაღდეს. თუმც ბლეიკმა თავი არ შეირცხვინა და თავისიანებს კიდევ ერთი ქულა შემატა.

რუსებს გვარიანი ოფლის ღვრა მოუწიათ, რადგანაც ორი სათამაშო დღის შემდეგ 1:2 აგებდნენ. თან ლიდერი ნიკოლაი დავიდენკო ცუდად იყო და არც მარატ საფინი გახლდათ ფორმაში. თუმც სლავთა კაპიტანმა შამილ ტარპიშევმა დაამტკიცა, რომ საუკეთესო რეზერვი ჰყავს და ფონს მიხაილ იუჟნითა და იგორ ანდრეევით გავიდა, რომლებმაც რუსებს ლამის წაგებული მატჩი შემოატრიალებინეს.

ფინალში ამერიკელები შეეცდებიან, შური იძიონ შარშან მოსკოვში დამარცხებისთვის, მით უმეტეს, რომ ახლა სახლში მოუწევთ თამაში. ერთი წლის წინ რუსების გამარჯვების უმთავრეს ფაქტორად სწორედ მოედნის უპირატესობა იქცა, როცა სლავები სტუმრებს მათთვის საძულველ თიხნარზე დაუხვდნენ. წესით, არც ამერიკელები უნდა დაურჩენ ვალში რუსებს და მათ ბალახზე უმასპინძლებენ — ამ საფარზე კი ვერც ერთი სლავი ხეირიანად ვერ ჩოგნაობს.

ასე რომ, ამერიკაში დამდეგ ჯახს დიდი იმედით ელიან. თან ეს დევისის თასის პირველი ფინალი იქნება აშშ-ს ტერიტორიაზე 1992 წლის შემდეგ. მაშინ იანკებმა მართლაც რომ „დრიმ თიმი" შეაგებეს შვეიცარიელებს პიტ სამპრასის, ჯიმ კურიეს, ანდრე აგასისა და ჯონ მაკინროის შემადგენლობით.

მართალია, იანკებს ამ კალიბრის ვარსვლავები აღარ ჰყავთ, მაგრამ ტიტულს მაინც სერიოზულად უმიზნებენ და როდიკისა ეიმედებათ, რომელმაც უკვე განაცხადა, დევისის თასის ფინალი წლეულს ჩემი უმთავრესი პრიორიტეტია და დამდეგ კვირებში სათამაშო განრიგს ისე გავანაწილებ, რომ არც გადავიღალო და ტრავმებსაც მოვერიდოო.

**კახა ლომჯაშვილი**







AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბუხულია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge